ანგარიში

# რუსული და ჩინური გავლენები საქართველოში

## 2021 წლის განახლება

EUROPEAN VALUES
Protecting Freedom

2021

# უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპულ ფასეულობათა ცენტრი

უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპულ ფასეულობათა ცენტრი არასამთავრობო, მიუკერძოებელ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელიც თავისუფლებების და სუვერენიტეტის დაცვას ემსახურება. ორგანიზაციის მიზანს ჩეხეთის რესპუბლიკაში ლიბერალური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ტრანსატლანტიკური ალიანსის დაცვა წარმოადგენს. ჩვენ ხელს ვუწყობთ ევროპის დაცვას მავნე გავლენისგან, განსაკუთრებით, რუსეთის, ჩინეთის და ისლამური ექსტრემისტებისგან.

ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ცენტრალურ ევროპაში ჩეხეთის თავისუფალ, უსაფრთხო და წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რომელიც აშშ–სთან მტკიცე მოკავშირეობის საფუძველზე ტრანსატლანტიკური საზოგადოების განუყოფელი ნაწილი იქნება.

## ავტორები:


**ეთო ბუზიაშვილი**, ატლანტიკური საბჭოს DFRLab

**გივი გიგიტაშვილი**, ატლანტიკური საბჭოს DFRLab

**თინათინ ხიდაშელი**, სამოქალაქო იდეა

**ანი კინწურაშვილი**, სამოქალაქო იდეა

**მარიამ წიწიკაშვილი**, GRASS

**დავით ნაროუშვილი**, GRASS

**ნიკა მამულაძე**, GRASS

**იაკობ ლაჩაშვილი**, GRASS

**თამარ კინწურაშვილი**, მედიის განვითარების ფონდი

**მაიკო რატიანი**, მედიის განვითარების ფონდი


## ავტორები:


**დევიდ სტულიკი**, უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპულ ფასეულობათა ცენტრი

**ელენე ჯანაძე**, უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპულ ფასეულობათა ცენტრი

**სიმონა დუდასოვა**, უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპულ ფასეულობათა ცენტრი


## ცნობა კვლევის დაფინანსების შესახებ და შენიშვნა მკითხველთათვის:


ეს ანგარიში წარმოადგენს 2020 წელს დაწყებული კვლევის – საგარეო გავლენის აქტორების შედარებითი კვლევა საქართველოში - მეორე გამოცემას. წლევანდელი ანგარიში - რუსული და ჩინური გავლენები საქართველოში - 2021 განახლება - მიმოიხილავს საქართველოში უცხო ქვეყნის გავლენების განვითარებას 2021 წელს, განსაკუთრებით სახელმწიფო ინსტიტუტებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მედიაში, პოლიტიკურ პარტიებსა და ეკლესიაში. ეს ნაშრომი მიზნად ისახავს წინა ანგარიშში უკვე წარმოდგენილი ისეთი პრობლემების ფართო სპექტრის შემდგომ გაანალიზებას, როგორიცაა მესამე ქვეყნების მიერ განხორციელებული და დაფინანსებული კამპანიები და აქტივობები, პოლიტიკური ინფილტრაციით დაწყებული და პოლიტიკური მიზნების მქონე კოროზიული კაპიტალის შემოდინებით დამთავრებული. ვინაიდან წინა კვლევის ერთ-ერთი მიგნება იყო ის, რომ ჩინეთის მავნე ზეგავლენა სათანადოდ არ იყო შესწავლილი, ამ კვლევით ნაშრომში არის სპეციალური თავი, რომელიც ეძღვნება მხოლოდ ჩინეთს. ეს ნაშრომი არის საქართველოში მომუშავე ანალიტიკური ცენტრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის ერთობლივი ძალისხმევა, როგორებიცაა: ატლანტიკური საბჭოს ციფრული ექსპერტიზის კვლევის ლაბორატორია (DFRLab), სამოქალაქო იდეა (CI), საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) და მედიის განვითარების ფონდი (MDF).

ეს ანგარიში მომზადდა ორწლიანი პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს პრაღაში დაფუძნებული უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპული ღირებულებების ცენტრი (EVC) საქართველოში. პროექტი მიზნად ისახავს გააძლიეროს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მედეგობა უცხოური მავნე გავლენების აღმოჩენასა და დაძლევაში. პროექტი მხარდაჭერილია ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამისა (Transition Promotion Program) და USAID-ის ახალი დონორების გამოწვევის პროგრამის (Emerging Donors Challenge Program) მიერ.

### პროექტი მხარდაჭერილია:

TRANSITION Transition Promotion Program

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

DFRLab

CIVIC IDEA

MDF მედიის განვითარების ფონდი MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

GRASS REFORMANDA

# სარჩევი

**შეჯამება:** ..... 4

**ნაწილი I. რუსეთი** ..... 6

1.1. 1.1 რუსული გავლენის რელევანტური პოლიტიკური აქტივები ..... 6

1.2. ეკლესია, როგორც რუსული გავლენის განსაკუთრებული ინსტრუმენტი ..... 10

1.3. პოლიტიკური მიზნების მქონე ძირგამომთხრელი ეკონომიკური საქმიანობა ..... 12

1.4. ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთის სადაზვერვო საქმიანობა ..... 18

1.5. რუსული დეზინფორმაციული კამპანიები ..... 20

1.6. COVID-19 ინფოდემია და რუსეთი - ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ..... 24

**ნაწილი II - უმცირესობების ექსპლოიტაცია** ..... 27

**ნაწილი III - ჩინეთი** ..... 30

3.1. ჩინეთის გავლენები აკადემიასა და არასამთავრობო სექტორში ..... 30

3.2. პოლიტიკური მიზნებით მოტივირებული ჩინეთის კოროზიული ეკონომიკური აქტივობები (ინფრასტრუქტურის ჩათვლით) ..... 31

სინოჰიდროს მიერ საქართველოსთვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანი ..... 32

3.3. ჩინეთის გავლენა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში / სამომავლო რეგიონული პროგნოზები ..... 33

3.4. ჩინეთი და დეზინფორმაცია ..... 35

**დასკვნა** ..... 37

# შეჯამება:

საქართველო მტრული საგარეო გავლენების თვალსაზრისით დიდი გამოწვევების წინაშეა, რაც ტრადიციულად რუსეთისგან მომდინარეობს, თუმცა ბოლო პერიოდში ამ კუთხით ჩინეთის აქტივობაც მზარდია.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩინეთის მავნე საგარეო გავლენის საკითხი ბოლო წლების განმავლობაში ანალიტიკოსებისა და ექსპერტების უფრო საფუძვლიანი ყურადღების საგანი გახდა, ამ კვლევის ერთ-ერთი თავი მხოლოდ ჩინეთს ეძღვნება. ვინაიდან ჩინეთის მავნე ოპერაციების ბუნება, ისევე როგორც თავად ინსტრუმენტები, განსხვავდება რუსულისგან, ეს შესაბამისად იქნება ასახული ამ ანგარიშში გაანალიზებულ გავლენების კონკრეტულ კატეგორიებში.

ზოგადად, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი ამ ჯგუფებს საკმარის შესაძლებლობებს აძლევს, რომ წარმატებით განახორციელონ საკუთარი მავნე დღის წესრიგი. ამავდროულად, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავების ფონზე, რეგიონულ მოვლენებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საქართველოს შიდა უსაფრთხოების გარემოზე.

ქართული საზოგადოება კვლავაც მხარს უჭერს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ კურსს. თუმცა, საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო, კრემლისთვის ხელსაყრელია და ქვეყანას რუსეთის მავნე გავლენის წინააღმდეგ უფრო დაუცველს ხდის. 5 ივლისს კრემლის მხარდამჭერი ჯგუფების მიერ ჟურნალისტებზე განხორციელებულმა ძალადობამ და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მერყეობამ, კარგად გამოავლინა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური უკუსვლის მასშტაბები.

წინა ანგარიშის მსგავსად1, ბოლოდროინდელი კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (GOC) რუსეთისთვის ქვეყანაში თავისი გავლენის გაძლიერების კიდევ ერთ ინსტრუმენტად რჩება. უფრო მეტიც, საქართველოში გაიზარდა რუსეთის ძირგამომთხრელი ეკონომიკური საქმიანობა. ეს ტენდენცია ნამახვანის ჰესის მშენებლობის შეჩერების საკამათო საკითხის ფონზე, კრემლზე ქვეყნის მზარდი ენერგეტიკული დამოკიდებულებით გამოიხატა. გარდა ამისა, პანდემიასთან დაკავშირებულმა კრიზისმა კოვიდთან დაკავშირებული დეზინფორმაციული კამპანიები გააქტიურა, რომლებიც, დიდწილად რუსეთის და შედარებით ნაკლები დოზით, ჩინეთის მხარდაჭერით ხორციელდება.

კვლევამ აჩვენა, რომ ჩინეთის გავლენა საქართველოში იზრდება არა მხოლოდ აკადემიურ და არასამთავრობო სექტორში, არამედ თავდაცვისა და უსაფრთხოების თემაზე მომუშავე ჯგუფებზეც. პეკინი აგრძელებს საქართველოში მკაფიოდ პოლიტიკური მიზნების მქონე ძირგამომთხრელ ეკონომიკურ საქმიანობას. ქართული პოლიტიკური და ბიზნეს ელიტა ჩინეთს კვლავ გეოპოლიტიკური დამაბალანსებლის კუთხით განიხილავს და ჩინეთს საქართველოში რუსეთის გავლენის დამაბალანსებლად ან საპირწონედ წარმოაჩენს. ამგვარად, ძალიან ცოტა გაკეთდა კორუფციის, დაბალი დონის ინფრასტრუქტურული პროექტების, ადგილობრივი მუშაკთა უფლებების დარღვევის რისკების და ეროვნული უსაფრთხოებისთვის ზოგადი საფრთხის აღმოსაფხვრელად, რაც ჩინეთ-საქართველო თანამშრომლობის თანმდევია.

მკვლევარები საქართველოში საგანგაშო პოლიტიკურ მოვლენებს ამჩნევენ, რომლებიც ქვეყნის დეკლარირებულ ევროატლანტიკურ მისწრაფებებს ეწინააღმდეგება.

1 ევროპული ღირებულებების ცენტრი, "საგარეო გავლენის აქტორების შედარებითი კვლევა საქართველოში", 2021 წ. https://europeanvalues.cz/en/mapping-research-comparing-foreign-influence-in-georgia/

მთავრობა თავს არიდებს კრემლის ინტერესებზე მომუშავე ძალადობრივი ჯგუფების პასუხისგებაში მიცემას. იმავდროულად, ქვეყნის მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური და ჯანდაცვის კუთხით პრობლემები მოსკოვსა და პეკინსთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის საქართველოში საკუთარი მავნე გავლენის გავრცელებისთვის.

# ნაწილი I. რუსეთი

## 1.1. 1.1 რუსული გავლენის რელევანტური პოლიტიკური აქტივები

კრემლის გავლენის მიმართ საქართველოს დაუცველობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო შიდა პრობლემების კომბინაციამ: უკიდურესად პოლარიზებულმა გარემომ, მყიფე დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა და მმართველი „ქართული ოცნების" მიერ გატარებულმა ორაზროვანმა საგარეო პოლიტიკამ.

საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის მიერ 8 ოქტომბერს გაკეთებული განცხადებამ, რომლის თანახმადაც, მიუხედავად იმისა, რომ თბილისისთვის «ძალიან რთული» იქნებარეგიონულითანამშრომლობისე.წ3+3პლატფორმის(რუსეთი,თურქეთი, ირანი,სომხეთი,აზერბაიჯანი და საქართველო) წევრობა, საქართველო არ უნდა ჩამორჩეს პროცესებს"[2], საქართველოს პოტენციურად რუსეთის ორბიტაზე გადასვლაზე გააჩინა ეჭვები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მედია ზალკალიანის სიტყვების არასწორ ინტერპრეტაციაში დაადანაშაულა (სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა წითელ ხაზებს წარმოადგენს[3]), საზოგადოებრივ მაუწყებელთან ინტერვიუში[4] გაკეთებული თავდაპირველი კომენტარი ცხადყოფს, რომ მინისტრმა საზოგადოებისთვის „მსჯელობის საფუძველი" გააჩინა „ძირითად გეოპოლიტიკურ პროექტებსა და ურთიერთობებში" საქართველოს ამა, თუ იმ ფორმით ჩართულობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის კომენტარს ახალ რეგიონულ ინიციატივაზე ერთი დღით უსწრებდა მისი რუსი კოლეგის სერგეი ლავროვის რეკომენდაცია, რომ საქართველომ უნდა გააღრმავოს რეგიონული თანამშრომლობა. ირანელი დიპლომატის, ჰოსეინ ამირ-აბდოლაჰიანის მოსკოვში ვიზიტისას, ლავროვმა დაადასტურა რუსეთის სურვილი, რომ საქართველომ „მიუხედავად არსებული პრობლემებისა, კონსულტაციების მექანიზმში ჩართვასთან მიმართებაში საკუთარი ფუნდამენტური ინტერესი დაინახოს და მიიღოს გადაწყვეტილებები ამ რეგიონის დაჩქარებული განვითარებისთვის, რაც მიმდინარე კონფლიქტების გამო დიდი ხნის განმავლობაში იყო შეჩერებული."[5] 3+3 ფორმატი, რომელიც თავდაპირველად თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა 2020 წელს მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთ-აზერბაიჯანის განახლებული ექვსკვირიანი ომის დასრულების შემდეგ გააჟღერა, რეგიონალური ინიციატივას წარმოადგენს, რომელიც ვაჭრობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობას ითვალისწინებს. ამ პლატფორმას მისი ანტიდასავლური ხასიათის გამო მკაცრად აკრიტიკებენ, თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ მისი ტერიტორიების მიმდინარე ოკუპაციის გამო, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან. ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ ოკუპანტთან თანამშრომლობის ნებისმიერი ფორმა ძირს უთხრის საქართველოს პოზიციას რომ დაიცვას საკუთარი *raison d'état*.[6]

ფორმულა – დეოკუპაცია და მხოლოდ შემდეგ დიალოგი – სძულთ **კრემლის ქართველ**

2 Civil.ge, საგარეო საქმეთა მინისტრი ზალკალიანი 3 + 3 პლატფორმაზე საუბრობს, 2021 წლის 8 ოქტომბერი https://civil.ge/archives/447118

3 Agenda.ge, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მედიის „არასწორ ინტერპრეტაციას" ეხმაურება და აცხადებს, რომ საქართველო „არ განიხილავს რუსეთთან რეგიონულ პლატფორმაში მონაწილეობას ", 2021 წლის 9 ოქტომბერი. https://agenda.ge/en/news/2021/3070

4 GPB, დღის თემა, ინტერვიუ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან დავით ზალკალიანთან, 7 ოქტომბერი, 2021 წ. https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=405580797815206

5 საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის კომენტარები და პასუხები მედიის კითხვებზე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჰოსეინ ამირ-აბდოლაჰიანთან მოლაპარაკების შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე, მოსკოვი, 2021 წლის 6 ოქტომბერი. https://bit.ly/3mI0wmy

6 "„3 + 3 ფორმატში შეერთება საქართველოსთვის არასწორია, აცხადებს Heritage Foundation-ის წარმომადგენელი, ლუკ კოფი", 1tv, 13 ოქტომბერი. https://1tv.ge/en/news/joining-33-format-wrong-for-georgia-heritage-foundations-luke-coffey-says/

**სატელიტებს** (პოლიტიკური პარტიები: პატრიოტთა ალიანსი, ერი, კონსერვატიული მოძრაობა; მედია: ალტ-ინფო, ტვ ობიექტივი; და პრიმაკოვის ქართულ-რუსული საზოგადოებრივიცენტრი),**რადგანისინირუსეთთანპირდაპირიმოლაპარაკებების მომხრეები არიან და ეწინააღმდეგებიან ჟენევის საერთაშორისო ფორმატს, რომელშიც მედიაციის როლს საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები და საერთაშორისო ორგანიზაციები ასრულებენ.**[7] საერთაშორისო პარტნიორების გარეშე აგრესორ სახელმწიფოსთან პირისპირ დარჩენა გააჩენს იმის რისკს, რომ კრემლი საკუთარ თავს მხარეებს (ქართველები, აფხაზები და ოსები) შორის მედიატორად წარმოაჩენს, ნაცვლად იმისა, რომ შემოჭრაზე პასუხისმგებლობა აიღოს.

2020 წელს მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შეიარაღებული კონფლიქტის განახლების ფონზე, კრემლის მხარდამჭერი მედია, ერთი მხრივ, ხაზს უსვამდა რუსეთის განსაკუთრებულ როლს კონფლიქტის დარეგულირებაში და, მეორე მხრივ, რეგიონში თურქეთის გაძლიერებული გავლენის პრობლემატურ ბუნებას.[8] ქართველი სატელიტები ასევე ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ რუსეთს შეუძლია თურქეთის შეკავება და საქართველოს თურქული საფრთხისგან დაცვა.[9]

3+3 რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმის გარდა, საქართველოს მთავრობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მიღებული რიგი გადაწყვეტილებების გამოც გააკრიტიკეს, კერძოდ: ა) საკამათო შეთანხმება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ბელარუსის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტს (KGB) შორის, მაშინ, როდესაც 2020 წლის აგვისტოს გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნების გამო ბელარუსის ხელისუფლების წინააღმდეგ დასავლეთის სანქციები მოქმედებს.[10] ბ) მმართველი გუნდის გამოსვლა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის შუამავლობით მიღწეული შეთანხმებიდან, რომელიც ოქტომბრის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნებამდე გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის დასრულებას ისახავდა მიზნად.[11] გ) სასამართლო რეფორმების შეუსრულებლობის საპასუხოდ ევროკავშირის მიერ ფინანსური დახმარების შეწყვეტის საფრთხის გამო თბილისმა უარი თქვა ევროკავშირის 75 მილიონი ევროს პირობითი სესხის აღებაზე.[12]

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე უარის თქმა კრემლის მომხრე და ულტრამემარჯვენე ჯგუფებში აღიქმებოდა, როგორც პრემიერის დამოუკიდებლობის გაზრდილი დონე, რომელიც დასავლეთის ზეწოლაზე წინააღმდეგობის გაწევის უნარში გამოიხატებოდა.[13] პრემიერ-მინისტრის მტკიცე პოზიციამ თურქული ინვესტიციებით ნამახვანჰესის მშენებლობის შეწყვეტის თაობაზე[14], ასევე განცხადებამ, რომ „ღირსების მარში" „არამიზანშეწონილი" იყო და მოსახლეობის უმრავლესობის ნებას ეწინააღმდეგება, კიდევ უფრო შეუწყო ხელი რადიკალ და კრემლის მომხრე ჯგუფებს შორის ქსენოფობიური და ჰომოფობიური

7 მითების დეტექტორი, ლავროვის ქართველი ადვოკატები კელი დეგნანის წინააღმდეგ, 2021 წლის 13 სექტემბერი http://mythdetector.ge/en/myth/lavrovs-georgian-advocates-against-kelly-degnan

8 კონფლიქტის გაშუქება აზერბაიჯანული და სომხურენოვანი რეგიონულ მედიასა და სხვა მედია საშუალებებში, მედიის განვითარების ფონდი, 2021, გვერდი 31 http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/213

9 თამარ კინწურაშვილი, ანტიდასავლური პროპაგანდა 2020, მედიის განვითარების ფონდი. გვერდი 17. http://mdfgeorgia.ge/uploads//antidasavlurieng2020_compressed.pdf

10 Civil.ge, საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, გააუქმოს ბელორუსის კგბ-სთან შეთანხმება, 2021 წლის 16 აგვისტო https://civil.ge/archives/436779

11 U.S., EU Concerned Over Stability After Georgia's Ruling Party Annuls Political Deal, RFERL, 2021 წლის 30 ივლისი https://www.rferl.org/a/georgia-annuls-deal-kobakhidze/31385113.html

12 Eurasianet, საქართველო ევროკავშირისგან 75 მილიონ ევროს მიღებაზე უარს ამბობს, 2021 წლის 1 სექტემბერი https://eurasianet.org/georgia-turns-down-75-million-euros-from-the-eu

13 ქეთევან ხუციშვილი, პრემიერ-მინისტრის და ანტიდასავლური ჯგუფების 7 მესიჯი ევროკავშირის ფინანსური დახმარებისა და სასამართლო რეფორმების შესახებ, მითების დეტექტორი, 9 სექტემბერი, 2021 წ. https://bit.ly/3ltEHYD

14 Civil.ge, პრემიერის განცხადებით ნამახვანჰესი მშენებლობა არსებული პირობებით არ გაგრძელდება, 9 ივნისი, 2021 წ. https://civil.ge/archives/426374

დისკურსების გავრცელებას.[15]

Tbilisi Pride-ის საწინააღმდეგო აქციამ, რასაც შედეგად 53 ჟურნალისტის, ოპერატორის და ფოტოგრაფის დაშავება და მათი ჟურნალისტური საქმიანობის შეფერხების მიზნით აღჭურვილობის განზრახ განადგურება მოჰყვა, ნოყიერი ნიადაგი შექმნა ულტრამემარჯვენე ჯგუფებისთვის და კრემლის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური დღის წესრიგისთვის.[16] **ლევან ვასაძე, რომელმაც 2021 წლის მაისში პოლიტიკური პარტია „ერთობა, რაობა, იმედი" (ერი) დააარსა და მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებს რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, ოჯახთა მსოფლიო კონგრესთან (WCF) და ევრაზიული მოძრაობის დამფუძნებელთან, ულტრამემარჯვენე ფილოსოფოსთან ალექსანდრ დუგინთან, „Tbilisi Pride"-ის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. გარდა ამისა, აქციის ორგანიზატორთა შორის იყვნენ ტელეკომპანია „ალტ-ინფოს" წამყვანები, რომლებიც ასევე დაკავშირებული არიან ვასაძესთან და მის პარტიასთან და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სიძულვილის და აგრესიის, როგორც პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის სტანდარტების გაღვივებაში.**

"ალტ-ინფოს" წამყვანები, რომლებიც მოქალაქეებს დასავლური სიმბოლოების დაზიანებისკენ და ევროკავშირის დროშების დაწვისკენ მოუწოდებდნენ[17], ღიად საუბრობდნენ საკუთარ განზრახვაზე, რომ ევროინტეგრაციის პარალიზებისთვის მიეღწიათ და „დასავლელი კოლონიზატორების" წინააღმდეგ პროტესტი პოლიტიკურ მოძრაობად გადაექციათ.[18] ალექსანდრ დუგინის მიერ მხარდაჭერილი ეს ჯგუფი,[19] ღიად აცხადებდა, რომ მათი პოლიტიკური დღის წესრიგი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და ლიბერალიზმის ქრისტიან-კონსერვატიზმით ჩანაცვლებას გულისხმობდა, რაც სახელმწიფოს „დედა ეკლესიასთან" ერთად მართვას მოიაზრებდა. საკუთარი მიზნების მისაღწევად ეს აქტორები ხაზს უსვამენ, რომ აუცილებელია საინფორმაციო გარემოს გაიფილტროს იმ მედია საშუალებებისგან, რომლებსაც კრიტიკული პოზიცია გააჩნიათ დღევანდელი ხელისუფლების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ 20 ნოემბერს "ალტ-ინფომ" ახალი პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობა" ჩამოაყალიბა. ახლად შექმნილმა პარტიამ მკაფიოდ ანტილიბერალური დღის წესრიგი ჩამოაყალიბა, რაც ისეთი პოლიტიკური ძალის შექმნას გულისხმობს, რომელიც ქართველი ხალხის და მართლმადიდებლური «დედა ეკლესიის» ინტერესებს გაატარებს და დაუყოვნებლივ დაიწყებს პირდაპირ მოლაპარაკებებს რუსეთის ფედერაციასთან.[20]

ამასთან, "ალტ-ინფოს" ყოფილი წამყვანი და კონსერვატიული მოძრაობის მოქმედი გენერალური მდივანი გიორგი ქარდავა, მოსკოვს ეწვია. ეს არ იყო რუსეთში ქარდავას სტუმრობის პირველი შემთხვევა. 2021 წლის სექტემბერში ქარდავა, როგორც პოლიტიკური მოძრაობა „ალტერნატივა საქართველოსთვის" მაშინდელი აღმასრულებელი თავმჯდომარე, საქმიანი ვიზიტით მოსკოვში გაემგზავრა, რათა

15 ანი ქისტაური, რადიკალიზაცია რელიგიის სახელით და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ - ვინ რისთვის იყენებს ღირსების მარშს? 2021 https://bit.ly/3AuP96k

16 მედიის ადვოკატირების კოალიცია, მედიის პოგრომი: თბილისი, 5 და 6 ივლისი, 2021 წ. http://mediacoalition.ge/en/a/9bbdee80

17 მითების დეტექტორი, ლევან ვასაძის „ალტ-ინფოს" და „ერი"-ს მხარდამჭერების ვანდალური მოწოდებები, 2021 წლის 26 ივლისი. http://mythdetector.ge/en/myth/vandalic-calls-supporters-levan-vasadzes-alt-info-and-eri

18 თამარ კინწურაშვილი და ქეთი ხუციშვილი, კრემლის მხარდამჭერი მოძალადე ჯგუფების სტრატეგია: დასავლური სიმბოლიკის დაწვა უნდა ნორმად იქცეს მითების დეტექტორი, 2021 წლის 15 ივლისი https://bit.ly/3aoQvFI

19 ანი ქისტაური და სანდრო გიგაური, ალექსანდრე დუგინის ფეისბუქ მხარდაჭერა თბილისის ძალადობრივი დემონსტრაციის მიმართ, 2021 წლის 28 ივლისი https://bit.ly/3lvrhLI

20 Civil.ge, ულტრამემარჯვენეებმა რუსეთთან მოკავშირეობის მოსურნე პარტია დააფუძნეს 2021 წლის 20 ნოემბერი https://civil.ge/archives/456863

«ალტერნატივა საქართველოსთვის» წევრებსა და რუს მაღალჩინოსან პოლიტიკოსებს შორის შეხვედრები გაემართა.[21]

ახლად დაარსებული პარტია „ერის" გარდა, კრემლის მხარდამჭერი კიდევ ერთი პარტია - "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" - გასული წლების მსგავსად, რუსეთისთვის ხელსაყრელი საკითხების წამოწევით იყო დაკავებული, კერძოდ, ეს მოიცავდა: საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტს; ჟენევის მოლაპარაკებების საერთაშორისო ფორმატის უგულებელყოფას და კონფლიქტების რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გზით დასავლეთის ჩარევის გარეშე მოგვარებას; მიზანმიმართულ კამპანიას აშშ-ის კვლევითი ინსტიტუტების წინააღმდეგ, რომელსაც თან ახლდა გზავნილები, რომელთა მიზანია დაამკვიდროს მოსაზრება, რომ აშშ-ში განვითარებული შიდა მოვლენებისა და პრეზიდენტ ტრამპის არჩევნებში დამარცხების გამო, აშშ-ს არ აქვს მორალური უფლება სხვებს რაიმე ასწავლოს.[22]

***შეჯამებისთვის, საქართველოში რუსული პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. კერძოდ, საქართველოს მთავრობის ორაზროვანმა პასუხმა შემოთავაზებულ „3+3" თანამშრომლობის ფორმატზე დატოვა სივრცე ადგილობრივი კრემლის მხარდამჭერი აქტორებისთვის, რომ რუსეთთან პირდაპირი დიალოგის აუცილებლობაზე დაეწყოთ ადვოკატირება. 2020 წლის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ გაძლიერებულმა თურქულმა გავლენამ ახალ პოლიტიკურ ნარატივებს დაუდო სათავე, რომლებიც რუსეთს წარმოაჩენდნენ როგორც ერთადერთ მნიშვნელოვან ძალას თურქული ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ. გარდა ამისა, სახელისუფლებლო პარტია „ქართული ოცნების" მიერ მიღებულმა საეჭვო პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა, კერძოდ, ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებაზე უარმა, შარლ მიშელის შეთანხმებიდან გასვლამ და ბელარუსის ხელისუფლებასთან თანამშრომლობამ, კიდევ უფრო შეუწყო ხელი რუსეთის ფედერაციის ინტერესების გატარებას, რომ ალარაფერი ვთქვათ 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივ მოვლენებზე, რომლებიც ეფექტურად იყო მომზადებული ღია პრორუსული ჯგუფების მიერ საზოგადოებისგან ლეგიტიმაციის მოსაპოვებლად და პოლიტიკურ მოძრაობებად ტრანსფორმაციისთვის.***

21 მითების დეტექტორი, Alt-Info-ს მოძალადე წამყვანი „ალტერნატივა საქართველოსთვის" მოსკოვში ვიზიტს გეგმავს, 2021 წლის 20 სექტემბერი. https://www.mythdetector.ge/en/myth/host-violent-alt-info-plans-visit-alternative-georgia-moscow

22 თამარ კინწურაშვილი, ანტიდასავლური პროპაგანდა 2020, მედიის განვითარების ფონდი. გვ. 17. http://mdfgeorgia.ge/uploads//antidasavlurieng2020_compressed.pdf

## 1.2. ეკლესია, როგორც რუსული გავლენის განსაკუთრებული ინსტრუმენტი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (სმე) ყურადღების ცენტრში 12 სექტემბერის შემდგომ მოექცა, როდესაც სასულიერო პირებთან შესაძლო კავშირის მქონე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დოკუმენტებმა გაჟონა.[23] **ქართული მედიის მიერ მიკვლეული სავარაუდოდ გაჟონილი დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა სასულიერო პირების შესაძლო პირადი ინფორმაციები, მათ შორის წარსული საქმიანობები და კავშირები რუსეთთან.**

საგარეო გავლენის აქტორების წინა კვლევაში[24] ეკლესია გაანალიზებული იყო როგორც რუსეთის გავლენის განსაკუთრებული ინსტრუმენტი და აღინიშნა, რომ სმე-ს არაერთი წარმომადგენელი, მათ შორის, წმინდა სინოდის რამდენიმე მაღალი რანგის წარმომადგენელი, პრორუსულ განწყობებს აფიქსირებდნენ. სია შეიძლება გაფართოვდეს სავარაუდოდ გაჟონილი დოკუმენტების საფუძველზე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქაღალდე სახელად **„პრორუსული ორიენტაცია" 15 სასულიერო პირს, მათ შორის, ქართული ეკლესიის მაღალი რანგის წევრების დოსიეებს მოიცავს[25]. სავარაუდოდ გაჟონილი დოკუმენტების თანახმად, მათ მჭიდრო კავშირები გააჩნიათ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან (ROC) და რუს ბიზნესმენებთან. ზოგიერთი მათგანი კი შესაძლოა თანამშრომლობდეს რუსეთის სპეცსამსახურებთან.** საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ არც დაადასტურა და არც უარყო სავარაუდოდ გაჟონილ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.[26] მისი თქმით, სმე 3 000 სასულიერო პირს აერთიანებს და, გამომდინარე აქედან, რამდენიმე მაგალითი ვერ იქნება განმარტებული ისე, თითქოს საპატრიარქოს მჭიდრო კავშირები აქვს რუსეთთან. მისი თქმით, დოკუმენტები არ ადასტურებს პატრიარქის მოსაყდრის შიო მუჯირის კავშირს რუსეთთან[27]. გავრცელებული ცნობებით დოკუმენტებში ნათქვამია, რომ სმე-ს ზოგიერთი სასულიერო პირი თვლის, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიტროპოლიტი შიო მუჯირი პატრიარქის მოსაყდრედ ცალმხრივად, კანონიკური წესების დარღვევით და რუსეთის ეკლესიის ზეწოლით განახორციელა. როგორც დოკუმენტებშია აღნიშნული, კრიტიკულად განწყობილი სასულიერო პირები ასევე თვლიან, რომ შიო მუჯირის დანიშვნით მისი მეგობარი, ულტრაკონსერვატიული პარტიის ლიდერი და რუსეთთან კავშირების მქონე ლევან ვასაძე იყო დაინტერესებული.[28]

აღსანიშნავია, რომ მიტროპოლიტმა ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა, რომელიც 2020 წლის ნოემბერში მოსკოვში რუსი სამღვდელოების წარმომადგენლებთან ქადაგებაზე იმყოფებოდა განაცხადა, რომ „ვერავინ და ვერაფერი დაარღვევს ჩვენს ერთობას"[29]. სავარაუდოდ გაჟონილი ფაილების თანახმად, 30 000 დოლარის სანაცვლოდ, მან რუსეთის მოქალაქეს საქართველოს საპატრიარქოში მიმდინარე პროცესების შესახებ მიაწოდა დეტალები, როგორიცა, მაგალითად კათოლიკოს-პატრიარქის პირადი

23 სასულიერო პირების შესახებ სავარაუდოდ სუს-ის საიდუმლო მასალებმა გაჟონა, Civil.ge, 2021წლის 13 სექტემბერი https://civil.ge/archives/440008

24 ევროპული ღირებულებების ცენტრი, "საგარეო გავლენის აქტორების შედარებითი კვლევა საქართველოში", 2021 წ. https://europeanvalues.cz/en/mapping-research-comparing-foreign-influence-in-georgia/

25 ხატია ღოღობერიძე, „პედოფილია, პირადი ცხოვრების დეტალები და რუსეთთან კავშირები - რა წერია გაჟონილ ფაილებში, ნაწილი I", On.ge, 14 სექტემბერი. http://go.on.ge/2fqc

26 ჯაღმაიძე: ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ არჩევნებზე ეკლესიის ფაქტორით მანიპულირების მცდელობაა, ფორმულა, 14 სექტემბერი. https://formulanews.ge/News/56630

27 „ანდრია ჯაღმაიძე: ეკლესიაში 3000 სასულიერო პირია და მათ შორის 2-3 მაგალითი არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აქ არის გამალებული კავშირები რუსეთთან", იმედი, 1 ოქტომბერი. https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/220597/andria-jagmaidze-eklesiashi-3-atasi-sasuliero-piria-da-aqedan-23-magalitis-mokvana-ar-nishnavs-rom-aq-aris-gamalebuli-kavshirebi-rusettan

28 "სავარაუდო უსაფრთხოების ფაილები: ქართველი სამღვდელოების და საპატრიარქოს რუსული კავშირები,", Civil.ge, 21 სექტემბერი https://civil.ge/archives/441568

29 ზურაბ მენაღარაშვილი, „მიტროპოლიტი ნიკოლოზი მოსკოვში იმყოფებოდა და „ერთობაზე" ისაუბრა" ნეტგაზეთი, 11 ნოემბერი, 2020 წ. https://netgazeti.ge/news/499133/

შეხვედრები და ასევე ინფორმაცია ლუგარის ლაბორატორიის შესახებ, რომელიც საქართველოში დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ამერიკულ კვლევით ცენტრს წარმოადგენს და რომელიც რუსული დეზინფორმაციის სამიზნე გახდა. მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა დაადასტურა მისი მჭიდრო კავშირები რუსეთის მოქალაქე ლოლიტა დანილინასთან, მაგრამ უარყო ინფორმაციის სანაცვლოდ თანხის მიღების ფაქტი.[30] ფაჩუაშვილი ქართულ მედიასთან საკუთარ პრორუსულ შეხედულებებს არ აფიქსირებდა, თუმცა ცოტა ხნის წინ მან კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ დავაში მხარი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დაუჭირა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტთან ვირტუალურ შეხვედრაზე მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ წმინდა სინოდი სოციალურ-პოლიტიკურ წნეხშია და პრორუსული პოზიციისთვის აკისრებენ პასუხისმგებლობას; თუმცა, მისი თქმით, წმინდა სინოდი მართლმადიდებლობის მხარესაა და ყველა უნდა დაუბრუნდეს კონსენსუსის შეთანხმებულ პრინციპს.[31] როგორც წინა წლის კვლევაში აღინიშნა, თეოლოგები წმინდა სინოდის პოზიციას უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე რუსული გავლენის შედეგად მიიჩნევენ.

საქართველოს ეკლესიის კრემლის მიმართ დამოკიდებულება გამოიხატა ინციდენტში, რომელიც სავარაუდოდ უსაფრთხოების სამსახურის გაჟონილი დოკუმენტების მიხედვით 2019 წელს მოხდა: პატრიარქის მესაყდრემ შიო მუჯირმა და მიტროპოლიტმა თევდორე ჭუაძემ სოციალურ ქსელში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის კრიტიკის გამო  სტიქაროსანი გაათავისუფლეს.[32]

კიდევ ერთი ღონისძიება, რომელიც თეოლოგებმა მიუღებლად და პრორუსულად შეაფასეს, იყო წირვა, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარ საპატრიარქო ტაძარში, სვეტიცხოველში რუსულ (საეკლესიო სლავურ) ენაზე ჩატარდა.[33] უკრაინელი სასულიერო პირები, რომელთაც სმე-მ უმასპინძლა რუსეთის საპატრიარქოს ექმვემდებარებიან, რაც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას ეწინააღმდეგება.

ანტილიბერალური და ანტიდასავლური რიტორიკის მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი წევრი კრემლის მხარდამჭერ და ექსტრემისტულ ჯგუფებთან ერთად მოქმედებს. მათი ტანდემი აშკარა იყო 5 ივლისის პრაიდის მარშის ღონისძიებაზე, რომელიც მას შემდეგ გაუქმდა, როდესაც ძალადობრივი ანტი-ლგბტქ+ ჯგუფები ქუჩებში გამოვიდნენ და თავს დაესხნენ მედიის წარმომადგენლებს. დეკანოზმა სპირიდონ ცქიფურიშვილმა, რომელიც ძალადობრივ ანტი-ლგბტქ+  აქციას ესწრებოდა, მონაწილეებს ძალადობისკენ მოუწოდა. დეკანოზ სპირიდონის განცხადებით „არა ძალადობას კი არა, ვალდებულები ხართ იძალადოთ სამშობლოსთვის!"[34]

პრაიდის მარშამდე ერთი თვით ადრე, სოციალურ მედიაში გავრცელდა სიძულვილის ენის კამპანია, რომელიც ჰომოფობიურ და ანტიდასავლურ გზავნილებს შეიცავდა. ყველაზე გავრცელებული ნარატივები მოიცავდა განცხადებებს, რომ „დასავლეთი ავრცელებს ჰომოსექსუალობას/გეგმავს გეი რევოლუციას", „რუსეთი იცავს ტრადიციულ

30 ნინო ჩიჩუა, „სამთავრობო უწყებები კომენტარს არ აკეთებენ სავარაუდო გაჟონულ ფაილებზე", ნეტგაზეთი, 13 სექტემბერი, 2021 წ. https://netgazeti.ge/news/563031/

31 „მიტროპოლიტი ნიკოლოზი უკრაინის კრიზისის მოგვარების პირობებზე", MOSPAT, 2021 წლის 22 სექტემბერი. https://www.youtube.com/watch?v=_Y7NNly7aiY

32 ფაილები: პუტინზე კრიტიკული ფეისბუქპოსტის გამო მუჯირმა და ჭუაძემ კაცს სტიქარის გახდა მოსთხოვეს https://formulanews.ge/News/56764?fbclid=IwAR3GYT-_1Qg1nobHB1Rtm0iJ4zJTngTskhaapb3_IFt4wKh7kRmDGTk9N5g

33 "„მიუღებელი და ანტისახელმწიფოებრივი" - რას ნიშნავს რუსულენოვანი ქადაგება სვეტიცხოველში? On.ge, 2021 წლის 17 ივლისი http://go.on.ge/2cdm

34 „დეკანოზი, რომელმაც ძალადობისკენ მოუწოდა 5 ივლისს, გამოიკითხება", ფორმულა, 16 ივლისი, 2021 წ. https://formulanews.ge/News/53669

იდენტობებს", „პრაიდის დაშლა = ეკლესიისა და მართლმადიდებლობის დაცვას". პრაიდის საწინააღმდეგო გზავნილები ულტრამემარჯვენე, კრემლთან დაკავშირებული და რელიგიური ჯგუფების მიერ გავრცელდა; სასულიერო პირებს შორის ყველაზე აქტიურები დეკანოზები სპირიდონ ცქიფურიშვილი, შალვა კეკელია და გიორგი რაზმაძე იყვნენ.[35]

***შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ სმე-ს რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირების საკითხი ხელახლა ამოტივტივდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფარულად შეგროვებული პერსონალური ინფორმაციის გაჟონვის შემდეგ. აღნიშნული დოკუმენტები სავარაუდოდ ცალკეული სასულიერო პირების რუსეთის დაზვერვის სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე შემთხვევას და რუს ბიზნესმენებთან ფინანსურ კავშირს ააშკარავებს. ამასთან, ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გამოაშკარავა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ულტრამემარჯვენე რადიკალ ექსტრემისტებს შორის იდეოლოგიური თანხვედრა. 5 ივლისის მოვლენებისდროს, სმე და ძალადობრივი ულტრამემარჯვენე ჯგუფები ძალადობას ახალისებდნენ და იდენტურ განცხადებებს ახმოვანებდნენ, რომლის თანახმადაც დასავლეთს გეი რევოლუციის დაგეგმვაში ადანაშაულებდნენ და, ამავდროულად, რუსეთს ტრადიციული ღირებულებების ერთადერთ დამცველად წარმოაჩენდნენ.***

### 1.3. პოლიტიკური მიზნების მქონე ძირგამომთხრელი ეკონომიკური საქმიანობა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კრემლი მუდმივად ცდილობს გააფართოოს თავისი გავლენის სფეროები, განსაკუთრებით ისეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, რომელსაც კრემლი რუსეთის პოლიტიკური დომეინის განუყოფელ ნაწილად აღიქვამს. ამ მიზნისთვის რუსეთმა ეკონომიკური ბერკეტები საქართველოს წინააღმდეგ იარაღად აქცია. როგორც წინა კვლევაშიც[36] აღინიშნა, მოსკოვზე ეკონომიკური დამოკიდებულების მაღალი დონე კვლავ პრობლემად რჩება თბილისისთვის. ბოლო ათწლეულის განმავლობაში რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება ძირითადად ვაჭრობას, ტურიზმსა და ფულადი გზავნილებს მოიცავს. პანდემიის პერიოდში ამ მიმართულებებით შესამჩნევი ძვრები დაფიქსირდა, რასაც აღნიშნულ თავში მიმოვიხილავთ.

35 ანი ქისტაური, თამარ კინწურაშვილი, ქეთი ხუციშვილი, "რადიკალიზაცია რელიგიის სახელით და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ - ვის მიერ და რა მიზნით გამოიყენება პრაიდის მარში?" მითების დეტექტორი, 6 ივლისი, 2021http://mythdetector.ge/en/research/radicalization-name-religion-and-against-political-opponents-whom-and-what-reason-pride

36 ევროპული ღირებულებების ცენტრი, „საგარეო გავლენის აქტორების შედარებითი კვლევა საქართველოში", 2021 წ. https://europeanvalues.cz/en/mapping-research-comparing-foreign-influence-in-georgia/

2011 წლიდან იზრდებოდა როგორც რუსი ვიზიტორების რაოდენობა, ისევე მათი წილი მთლიან ოდენობაში. თუმცა, ვითარება 2019 წელს შეიცვალა, როდესაც რუსეთმა საქართველოში ფრენები აკრძალა.[37] 2020 და 2021 წლებში რუსი ვიზიტორების წილი შემცირდა დაახლოებით 13.7% და 12%-მდე 2018 წლის 19.5% და 2019 წლის 19%-დან[38]. თუმცა, რუსებისთვის საქართველო კვლავ მიმზიდველი ადგილია, მათ შორის, უძრავი ქონების და სხვადასხვა მნიშვნელოვანი აქტივების შეძენის კუთხით, რაც ბუნებრივია, უსაფრთხოების პოტენციურ რისკებს შეიცავს.

2013 წლიდან რუსეთთან წლიური საგარეო სავაჭრო ბრუნვა ზრდის დინამიკით ხასიათდება. 2017 წლიდან რუსეთთან სავაჭრო ბრუნვა მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 11%-ის ფარგლებში მერყეობდა. პანდემიის პერიოდი გამონაკლისი არ ყოფილა. 2020 წელს რუსეთთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11,7% შეადგინა, რაც 2019 წელთან შედარებით 0,6 პროცენტული პუნქტით გაზრდილია. 2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით, რუსეთთან სავაჭრო ბრუნვა ასევე მთლიანი ბრუნვის 11,7%-ს შეადგენდა, ხოლო ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვა 1,8 პროცენტით და აზერბაიჯანთან 0,5 პროცენტით შემცირდა. საქართველოს 2014 წლიდან ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს, ხოლო ჩინეთთან 2018 წლის 1 იანვრიდან. ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვის წილი კლების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო რუსეთისა და ჩინეთის წილი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში ბოლო წლებში თითქმის მსგავსი აღმავალი დინამიკით ხასიათდება, რაც შემაშფოთებელია.

**ცხრილი 1: საქართველოს სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან, ევროკავშირის ქვეყნებთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან და ჩინეთთან, მთლიანი ბრუნვის პროცენტული წილების მიხედვით.**




| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 Jan-Aug |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Russia | 5.0% | 7.1% | 7.4% | 8.3% | 9.4% | 11.0% | 10.8% | 11.1% | 11.7% | 11.7% |
| EU | 25.4% | 25.2% | 25.1% | 27.5% | 27.9% | 25.6% | 24.8% | 23.4% | 22.3% | 20.6% |
| Turkey | 15.4% | 14.6% | 17.2% | 15.9% | 16.1% | 14.7% | 13.5% | 13.7% | 14.0% | 14.8% |
| Azerbaijan | 12.8% | 12.5% | 10.3% | 8.2% | 6.8% | 7.8% | 8.6% | 8.0% | 8.4% | 7.9% |
| China | 6.1% | 5.9% | 7.2% | 7.5% | 7.6% | 8.6% | 8.1% | 8.0% | 10.4% | 10.8% |

Source: Geostat.ge

2021 წლის პირველ რვა თვეში რუსეთიდან ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 14,4%, ხოლო რუსეთიდან იმპორტის წილი მთლიან იმპორტში 10,5% შეადგენდა, რაც პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით საგარეო ვაჭრობის კუთხით რუსეთზე დამოკიდებულების ზრდაზე მიუთითებს. რუსეთში ექსპორტირებული ძირითადი სასაქონლო ჯგუფებია: ყურძენი და ნატურალური ღვინოები, ფეროშენადნობები,

37 ვახტანგ დემურია, „რა გავლენას მოახდენს რუსეთიდან ფრენების აკრძალვა საქართველოს ეკონომიკაზე?", Factcheck.ge, ივლისი, 2019, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/oTDaOKF

38 საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ვიზიტორთა სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: https://gnta.ge/statistics/

მინერალური და სასმელი წყლები, ალკოჰოლური სასმელები, ხილი და ბოსტნეული, ხოლო რუსეთიდან იმპორტირებული საქონელია: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ხორბალი და მესლინი, ნავთობაირები და სხვა აირადი ნახშირწყალბადები, მზესუმზირის ზეთი. და ტელეფონები.

**ცხრილი 2: საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, მლნ აშშ დოლარი**




| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 Jan-Aug |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Exports to Russia | 46.8 | 190.7 | 274.8 | 162.9 | 206.7 | 397.9 | 437.7 | 497.0 | 441.1 | 377.1 |
| Imports from Russia | 476.8 | 583.9 | 573.3 | 625.5 | 680.6 | 789.6 | 934.7 | 977.1 | 888.4 | 634.8 |
| Share of exports to Russia | 2.0% | 6.6% | 9.6% | 7.4% | 9.8% | 14.5% | 13.0% | 13.1% | 13.2% | 14.4% |
| Share of imports to Russia | 5.9% | 7.3% | 6.7% | 8.6% | 9.3% | 9.8% | 10.0% | 10.3% | 11.0% | 10.5% |

წყარო: Geostat.ge

რუსეთი საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად რჩება. თუმცა, პრობლემა კიდევ უფრო მწვავეა კონკრეტული სავაჭრო ჯგუფების შემთხვევაში, სადაც რუსეთზე დამოკიდებულება განსაკუთრებით მაღალია (ალკოჰოლური სასმელები, მინერალური წყლები, ხორბალი, ხილი და ბოსტნეული და ა.შ.). მათთვის, ვინც ვაჭრობის კუთხით რუსეთზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, რუსეთთან ეკონომიკური პრობლემები განსაკუთრებით მტკივნეულია, შესაბამისად ისინი ყველაზე მეტად ექვემდებარებიან რუსეთის პოლიტიკურ გავლენას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ხორბლის იმპორტის შემთხვევაში. 2021 წლის განმავლობაში (იანვარი-აგვისტოს ჩათვლით) საქართველომ 58 040.8 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 250,031 ტონა ხორბალი შემოიტანა. ამავე პერიოდში რუსეთიდან 53,423.5 ათასი აშშ დოლარის ღირებულების (223,677 ტონა) ხორბალი შემოვიდა, რაც მთლიანი იმპორტის 91,1%-ს შეადგენს. ის ფაქტი, რომ რუსეთი ეკონომიკურ ინსტრუმენტებს თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იარაღად იყენებს, საქართველოში უკვე არაერთხელ დადასტურდა. არაერთი დაპირებების მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ ჯერაც ვერ მოახერხა ხორბლის იმპორტის დივერსიფიკაცია და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის, ვაჭრობისა და სატრანზიტო სექტორების განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ქვეშეთი-კობის მონაკვეთი არის რუსეთს-საქართველოს შორის ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო დერეფნის ნაწილი), რიგ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, რომელიც გვირაბების, ხიდების და არსებული გზების კეთილმოწყობას გულისხმობს. პროექტთან დაკავშირებით არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოთქვა შეშფოთება, როგორც გარემოსდაცვითი, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით. მათი თქმით, პროექტის მთავარი მიზანი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუსეთს შორის მიმოსვლისა და ტრანზიტის გაძლიერებაა, რაც ქვეყნის უსაფრთხოების კონიუქტურიდან

გამომდინარე პრობლემურია.[39] ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და ექსპერტი კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ ავტომაგისტრალის მშენებლობის შემთხვევაში, რუსეთი თბილისის სწრაფი აღებისთვის სამხედრო გზას დაეუფლება და რომ პროექტის განხორციელება ვლადიმერ პუტინის ინტერესებში შედის.[40]

კიდევ ერთი შემაშფოთებელი მოვლენა ენერგეტიკულ უსაფრთხოებას უკავშირდება. ბოლო წლებში მთელი რიგი ჰიდროენერგეტიკული პროექტის მშენებლობა შეფერხდა ან შეჩერდა[41], რაც, რიგი ანალიტიკოსების აზრით, შესაძლოა პირდაპირ რუსეთის მავნე საქმიანობას უკავშირდებოდეს. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის ინფორმაციით, იანვარ-აგვისტოში იმპორტირებული 1,715 მლრდ კვტ/სთ-მდე ელექტრონერგია, რაც 105%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიურ პერიოდზე (835,2 მლნ კვტ/სთ). რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტმა იანვარ-აგვისტოში (1,50 მლრდ კვტ/სთ) გასული წლის რვა თვის ანალოგიურ მაჩვენებელს 171,5%-ით გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ოკუპირებულ აფხაზეთში წლიდან წლამდე მზარდი მოხმარებაა. 2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ამ რეგიონმა 1 მლრდ 953,4 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია მოიხმარა, რაც 21,4%-ით მეტია 2020 წლის იანვარ-აგვისტოს (1 მლრდ 609,3 მლნ კვტ/სთ) მაჩვენებელზე.[42] გავრცელებულია მოსაზრება, რომ აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარების ასეთი ზრდა კრიპტოვალუტის მაინინგის უკონტროლო ზრდასთანაა ბმაში, რაც ენერგო მდგრადობის პერსპექტივებსა და დინამიკას კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.[43] **დროთა განმავლობაში რუსეთზე მზარდი ენერგეტიკული დამოკიდებულება რეალურ გამოწვევებს და საფრთხეებს შექმნის.** 2006 წელს, აფეთქებების ჯაჭვმა სამხრეთ რუსეთში ბუნებრივი აირის ის მილსადენები და ელექტრო კაბელები დააზიანა, რომლებიც საქართველოს ენერგიით ამარაგებდნენ და ქვეყანა გათბობის და ელექტროენერგიის დეფიციტში ჩააგდო, რასაც დიპლომატიური დაძაბულობაც მოჰყვა.[44] ამან აიძულა საქართველო რომ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება შეემცირებინა და ახალი მიმწოდებლების ძებნა დაეწყო. ამ კონტექსტში, რუსეთის მიერ ელექტროენერგეტიკული და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის (მაგ. ჰესები, ელექტროგადამცემი ხაზები) ნაწილის ფლობა შეიძლება პოტენციურად პრობლემური იყოს, ისევე როგორც ის საქმიანობები, რომლებიც გარკვეულწილად მაინც რუსეთის წახალისებულია და იმ პროექტების წინააღმდეგაა მიმართული, რომლებიც საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას და, შესაბამისად, მისი უსაფრთხოების ზრდას შეუწყობს ხელს.

**ადგილობრივი პრორუსული ჯგუფების პროპაგანდამ და მავნე საქმიანობებმა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის შეფერხებას შეუწყო ხელი. „უცხოებისთვის მიწის მიყიდვის" კარგად გამჯდარი შიში და ანტითურქული განწყობები[45] (სხვა ირაციონალურ შიშებთან ერთად) წარმატებით იქნა გამოყენებული ნამახვანი ჰესის მშენებლობის შეჩერების**

39 reginfo.ge, „ქაშვეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთიდან მომდინარე საფრთხეების გამო არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართეს ", 2019 წლის სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/oTDsQJv

40 ჯიმშერ რეხვიაშვილი, „ახალი როკის გვირაბი" თუ ირაციონალური შიშები?", 2019 წლის აგვისტო, radioliberty.ge, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/ZTDsU1S

41 ინგა მურუსიძე, „საქართველოში ბევრი ჰესის პროექტი შეჩერდა - დაახლოებით 4 მილიარდი დოლარის ინვესტიცია და 20 ათასი სამუშაო ადგილი დაიკარგა", 2021 წლის მაისი, Business Media Georgia, ხელმისაწვდომია:https://cutt.ly/gTDlqI0

42 ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი "ელექტროენერგიის (სიმძლავრის) წლიური საპროგნოზო ბალანსი", ხელმისაწვდომია: https://esco.ge/en/energobalansi

43 მაიკლ ე. ლამბერტი, „კრიპტო-მაინინგი და რეგიონული უსაფრთხოება აფხაზეთში", worldfinancialreview.com, სექტემბერი, 2021, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/gTDUWGn

44 ვიქტორ იასმანი, „რუსეთი: არის თუ არა საქართველოს გაზის კრიზისი მოსკოვის ახალი ენერგეტიკული სტრატეგიის დასტური?", 2006 წლის 23 იანვარი, რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://www.rferl.org/a/1064978.html

45 კონსტანტინე მორგოშია ნამოხვანი ჰესის შესახებ, გამოქვეყნებულია Tvalsazrisi.ge-ზე, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/0TDT8xy

**ერთ-ერთ მთავარ მიზეზად**, რომელიც მასშტაბურ ენერგეტიკულ პროექტს წარმოადგენს და გააჩნია პოტენციალი რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებაში. 2013 წლიდან, ულტრანაციონალისტური ჯგუფების ინიციატივით და ხელშეწყობით, საკანონმდებლო დონეზე სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვის შემოღება მოხდა. ნამახვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეების რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებთან სავარაუდო კავშირების გარდაც, აშკარაა ადგილობრივი პრორუსული აქტორების ნეგატიური როლი. მიუხედავად იმისა, არის თუ არა ნამახვანი ჰესის გაჩერება რუსეთის პირდაპირი ჩარევისა და მანიპულაციის შედეგი, ეს ფაქტი აფერხებს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ზრდას და შესაბამისად, უფრო მეტად რუსეთის ინტერესებს ეხმიანება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც, სავარაუდოდ, რუსული მხარის ძალისხმევით შეჩერდა, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტია. შესაბამისი ინფორმაცია საჯაროდ მმართველი პარტიის [ქართული ოცნების] მაღალჩინოსანმა ბატონმა რომან კაკულიამ [დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ] გააჟღერა.[46] მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არ არის ცნობილი, ზუსტად როგორი იყო მოსკოვის როლი ანაკლიის პორტის პროექტის ჩავარდნაში, 2021 წლის ბოლოსთვის პროექტის განახლებისთვის არაფერი გაკეთებულა. შესაბამისად, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც საქართველოსა და დასავლეთს შორის „ხიდად" მიიჩნეოდა, შეჩერებულია. ეს ისევ რუსეთის ინტერესებს ემსახურება ნაცვლად საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების მიზნებისა.

გარდა ამისა, ისეთი მსხვილი საინვესტიციო პროექტების შეჩერება, როგორიცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი და ნამახვანი ჰესი, ზიანს აყენებს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატს და გამაფრთხილებელ სირენად იქცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის (FDI), რაც კრიტიკულად საჭიროა ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის.

ფულადი გზავნილები საქართველოსთვის სავალუტო შემოდინების და, შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა. უფრო მეტიც, 2012-2020 წლებში ფულადი გზავნილების შემოდინებამ მთლიანობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას გადააჭარბა. რუსეთიდან ფულადი გზავნილების ფარდობითი მაჩვენებლები მთლიან ფულად გზავნილებთან მიმართებაში ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა, რაც დადებითი დინამიკაა შემოსავლების დივერსიფიკაციისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, თუმცა რუსეთიდან ფულადი გზავნილების მთლიანი მოცულობა ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია.

46 თაზო კუპრეიშვილი, კაკულიას თქმით, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების გამო მთავრობამ ანაკლიის პროექტი შეაჩერა", 2020 წლის იანვარი, ნეტგაზეთი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/419162/

**ცხრილი 3:**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის პირველ რვა თვეში რუსეთიდან გზავნილებმა 262 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. თუ არსებული დინამიკა შენარჩუნდება, წლის ბოლომდე რუსეთიდან მთლიანი ფულადი გზავნილების შემცირების ტენდენცია გაგრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში ევროკავშირის ქვეყნებიდან და აშშ-დან ფულადი გზავნილები რუსეთთან შედარებით იზრდება, რუსეთიდან ფულადი გზავნილები მაინც ყველაზე მეტია. შედარებისთვის, ფულადი გზავნილების მთლიანი მოცულობის 16,5% იტალიიდან და 12,3% აშშ-დან იყო გადმორიცხული. მსგავსი დინამიკით, მომავალში რუსეთი შესაძლოა აღარ აღმოჩნდეს ფულადი გზავნილების მხრივ მოწინავე ქვეყნის პოზიციაზე.

***საერთო ჯამში, რუსეთზე პირდაპირი ეკონომიკური დამოკიდებულების გარდა, რომელიც ვაჭრობასთან, ფულად გზავნილებთან და ტურიზმთანაა დაკავშირებული, ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტების ჩაშლა კიდევ უფრო მეტად აზიანებს საქართველოს საინვესტიციო გარემოს, ეკონომიკურ განვითარებას და საბოლოოდ უარყოფითად აისახება ქვეყნის უნარზე, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის მავნე საქმიანობას.***

### 1.4. ოკუპირებული ტერიტორიები და რუსეთის სადაზვერვო საქმიანობა

უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ საქართველოს ინტერესების საზიანო საქმიანობა 2021 წელს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმთავრესი გამოწვევა იყო. ამ პერიოდში გამოვლინდა ფარული ოპერაციების მცდელობები და ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენება პოლიტიკური, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური და სხვა სახის გავლენის ბერკეტების მოსაპოვებლად.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიური ანგარიშების მიხედვით,[47] **ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუსული ოკუპაცია და საგარეო სადაზვერვო სამსახურების საქმიანობა საქართველოს კონტრდაზვერვის პოლიტიკის ორ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.**

**საქართველოსთვის უმთავრეს გამოწვევად რუსეთის ფედერაციის მიერ ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების ოკუპაცია რჩება**. კრემლი აგრძელებს ოკუპირებული რეგიონების დე-ფაქტო ანექსიის,[48] დანარჩენი საქართველოსგან იზოლაციისა და საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთმანეთისგან გაუცხოების პროცესს.

რუსეთის ფედერაცია ცდილობს სრულად გააკონტროლოს აფხაზეთი და კიდევ უფრო შეზღუდოს მისი, ისედაც მინიმალური, თვითმმართველობის პერსპექტივა. **2020 წლის ნოემბერში სოხუმმა მოსკოვთან „ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების შესახებ" პროგრამას მოაწერა ხელი, რომელიც აფხაზეთის „კანონების" რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას ითვალისწინებს**.[49] სხვა ბევრ საკამათო ელემენტთან ერთად, ეს შეთანხმება საფრთხის ქვეშ აყენებს აფხაზური საზოგადოებისთვის ორ ყველაზე მგრძნობიარე საკითხს: 1. რუსეთის მოქალაქეებისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება საფუძველს ქმნის აფხაზეთში რუსეთის ეთნიკური დომინაციისთვის და ასევე, მათ ქონების შეძენის უფლებას ანიჭებს - რასაც აფხაზი მოსახლეობა წლებია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. 2. კიდევ ერთი მწვავე სადავო თემა ენერგოუსაფრთხოებას უკავშირდება.[50] დოკუმენტში შემოთავაზებულია, რომ სოხუმმა უნდა შეცვალოს კანონმდებლობა, რათა „მოიზიდოს რუსული ენერგოკომპანიები ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოდერნიზაციისთვის". რუსებისთვის აფხაზეთის ენერგოსექტორში წილში შესვლის უფლების მინიჭება, მოსკოვს რეგიონის ენერგეტიკული სექტორის სრულად დასაკუთრებისკენ უხსნის გზას.[51]

კრემლი არც ცდილობს აფხაზეთის ტერიტორიების დასაკუთრების ზრახვების დამალვას. რუსეთის ფედერაციამ 2021 წლის მაისში ოფიციალურად მოახდინა აფხაზური სოფელი აიბღას ანექსირება, რომელზე ეფექტურ კონტროლსაც იგი 2014 წლიდან ახორციელებდა და ის ახლა კრასნოდარის ოლქის ადლერის რაიონში შედის.[52] სცენარი კარგად იყო მომზადებული - 2020 წელს აიბღას ადგილობრივმა მოსახლეობამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო კრასნოდარის გუბერნატორს დახმარება სთხოვა და რუსეთის ფედერაციამ ამ თხოვნაზე „გულუხვად"

47 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წლიური ანგარიშები, ხელმისაწვდომია მისამართზე : https://ssg.gov.ge/en/page/info/reports

48 Georgia Watch Briefing, Issue 15, ხელმისაწვდომია https://rb.gy/raqt1f

49 civil,ge, „მოსკოვი და სოხუმის „საერთო სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეზე" პროგრამას აწერენ ხელს, თბილისი გმობს", 2020 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/384342

50 კრისტინა ავიძბა, „რუსეთი ყველა საშუალებით ცდილობს რომ ხელში ჩაიგდოს აფხაზეთის ენერგეტიკული სექტორი", 2021 წლის 23 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://accentnews.ge/ka/article/40933-ruseti-apxazuri-energetikis-misakutrebas-qvela-gzi

51 ემილ ავდალიანი, „საბედისწერო ნაბიჯი ანექსიისკენ", CEPA, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://cepa.org/a-fateful-step-towards-annexation/

52 დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „გაგრის რაიონის სოფელ აიბღას ანექსია - სოფელში დანიშნული რუსეთთან ანგარიშვალდებული გუბერნატორი", 2021 წლის ივნისი, ხელმისაწვდომია: http://www.democracyresearch.org/eng/637

უპასუხა. აქ ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ეს მიმართვა, რა თქმა უნდა, FSB-ის მიერ იყო ორგანიზებული, რისი იგნორირებაც ოფიციალურმა სოხუმმაც კი ვერ შეძლო. ამ პროცესს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება დაუპირისპირდა და მდინარე ფსოუზე სასაზღვრო გამშვები პუნქტიც მოაწყო. აფხაზეთის დე-ფაქტო ლიდერმა, ასლან ბჟანიამ ეს საკითხი ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას დააყენა, რომელიც, თავის მხრივ, საკითხის სამართლიან გადაწყვეტას დაპირდა, თუმცა ოფიციალური განცხადებების მიღმა პროგრესი არ ყოფილა და სოფელი აიბღა რუსეთის იურისდიქციის ქვეშ რჩება.[53]

2021 წლის სექტემბერში **აფხაზეთის დე-ფაქტო განათლების სამინისტრომ გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება აკრძალა და სწავლების პროცესის რუსულ ენაზე გაგრძელების, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის - როგორც უცხო ენის სწავლების ბრძანება გასცა**.[54] ეს გადაწყვეტილება რუსეთის საოკუპაციო ძალების მხრიდან - რომელიც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე ეფექტურ კონტროლს ახორციელებს - ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციის კიდევ ერთ მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს და მათი ანექსიისთვის საფუძველს ამზადებს.

**როდესაც საქმე რუსეთის სადაზვერვო სამსახურების საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე განხორციელებულ საქმიანობას ეხება, წინა პლანზე გამოდის სავარაუდო შეთქმულება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი ჟურნალისტის, გიორგი გაბუნიას[55] მკვლელობასთან დაკავშირებით**. რუსეთის ეთნიკურად ინგუში მოქალაქე, ვასამბეგ ბოკოვი (ნამდვილი სახელი - მაგომედ გუციევი) საქართველოში ჩეჩნეთის ლიდერმა რამზან კადიროვმა ტელეწამყვანი გიორგი გაბუნიას მოსაკლავად გაგზავნა, თუმცა ქართველმა სამართალდამცავებმა ბოკოვის გეგმა ჩაშალეს და მის დასაკავებლად 2020 წლის ივნისში ქავთარაძის ქუჩაზე სპეცოპერაცია ჩაატარეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა განცხადება,[56] რომელშიც ნათქვამია, რომ ყალბი დოკუმენტების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს რუსეთის მოქალაქე ინიციალებით ვ.ბ. სუს-ის ცნობით, დაკავება „დაკვეთილი მკვლელობის მომზადებაზე" გამოძიების ფარგლებში მოხდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, ვ.ბ. კონტრტერორისტული ცენტრის მიერ ჩატარებული ფართომასშტაბიანი გამოძიების ფარგლებში დააკავეს და ეჭვმიტანილის დაკავებით, "კიდევ უფრო მძიმე დანაშაულის" აღკვეთა მოხერხდა.

ჩეჩნური წარმოშობის კიდევ ერთი მოქალაქე, ბესლან იზნაური (ბესლან რასაევი), რომელიც, სავარაუდოდ, ქართველი ჟურნალისტის, გიორგი გაბუნიას მკვლელობის მოწყობასთან კავშირში იყო, სამართალდამცველებმა თურქეთში[57], 8 ოქტომბერს დააკავეს. თურქი ოფიციალური პირების თქმით, მკვლელების ჯგუფი (ამასთან, „სამხედრო და პოლიტიკურ ჯაშუშობაში" ბრალდებულები) თურქეთში მცხოვრებ ჩეჩენ დისიდენტებზე თავდასხმას გეგმავდნენ. დაგეგმილი მკვლელობების ერთ-ერთი სამიზნე გაბუნიას მკვლელობის საქმის მთავარი მოწმე, ჩეჩენი ბლოგერი, ხასან ხალიტოვი იყო.

ხალიტოვის თქმით, დაკავებული ჯგუფის ლიდერი, ბესლან იზნაური, მაგომედ გუციევის (ვასამბეგ ბოკოვის) თანაშემწე იყო და მის მოსაკლავად ჩეჩნეთის ლიდერის, რამზან კადიროვის „მარჯვენა ხელის", ადამ დელიმხანოვის ბრძანებით გააგზავნეს.

53 Accentnews.ge, „აფხაზური სოფელი აიბღა რუსეთის შემადგენლობაში შედის", ხელმისაწვდომია: https://accentnews.ge/ka/article/40676-dri-apxazuri-sopeli-aibga-rusetis-nacilad-gaporm

54 Georgia Watch Briefing, Issue 34, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/pnfnm3

55 Civil.ge, „მთავარი არხის დირექტორი ამტკიცებს, რომ ჩეჩენმა კადიროვმა ქართველ წამყვანს მკვლელი გაუგზავნა,", 2020 წლის 16 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/356015

56 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, 2020 წლის 15 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/1d0xwv

57 ელისონ ქუინი, „ საზღვარგარეთსავარაუდო რუსი მკვლელების კიდევ ერთი ჯგუფი დააკავეს", The Daily Beast, ოქტომბერი, 2021, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/3c4ngw

ხალიტოვს მიაჩნია, რომ ის მკვლელობის სამიზნე, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ჟურნალისტის - გიორგი გაბუნიას წარუმატებელი მკვლელობის გამო გახდა, რათა იგი მაგომედ გუციევის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისთვის დაესაჯათ.

### 1.5. რუსული დეზინფორმაციული კამპანიები

2021 წელს რუსეთის მთავრობამ, კრემლის მიერ კონტროლირებულმა რუსულმა მედიამ და საქართველოში კრემლის მხარდამჭერმა აქტორებმა განაგრძეს ძალისხმევა ქვეყნის საშინაო საქმეებზე გავლენის მოსახდენად, ხოლო სამიზნედ საზოგადოების ევროატლანტიკური არჩევანი ჰქონდათ ამორჩეული. **კრემლის მხარდამჭერმა ჯგუფებმა 2021 წელს საქართველოში მომხდარი ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენის ფონზე გააორმაგეს საკუთარი დეზინფორმაცია.**

საქართველოში გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე, რომელიც 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების სადავო შედეგებთანაა[58] დაკავშირებული, რუსეთში კრემლის მიერ მართული ჯგუფებისთვის ანტიქართული და ანტიდასავლური ნარატივების გასავრცელებლად ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნა.[59] 2021 წლის 23 თებერვალს, ქართული პოლიცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) შენობაში შეიჭრა და მისი თავმჯდომარე, ნიკა მელია დააკავა, რომელსაც 2019 წლის ივნისში თბილისში ანტირუსული საოკუპაციო დემონსტრაციების დროს ძალადობის წაქეზებაში ედებოდა ბრალი. **ამ მოვლენამ საქართველოში საპროტესტო აქციები გამოიწვა, ხოლო რუსეთში კრემლის მომხრეებმა და კომენტატორებმა კმაყოფილება გამოხატეს მელიას დაპატიმრების ფაქტის გამო და გაახმოვანეს ნარატივები საქართველოში გაბატონებული რუსოფობიის შესახებ.**[60] კრემლის მომხრეები აცხადებდნენ, რომ საქართველო რუსოფობიის შედეგად ღრმა პოლიტიკურ კრიზისში ჩავარდა და ქვეყანა 2019 წლის ივნისში „რუსოფობების" მიერ ორგანიზებული ისტერიის ფასს იხდის.[61] კრემლის მხარდამჭერი მედიაც ცდილობდა საქართველოს ხელისუფლების მიმართ დასავლეთიდან მომდინარე კრიტიკით ესარგებლა. გამოცემა «ვზგლიად»-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ნიკა მელიას ანტირუსულმა ქმედებებმა საქართველოსა და დასავლეთს შორის კონფლიქტი გამოიწვია და როგორც ავტორი აღნიშნავს, ხელისუფლებამ ნიკა მელია მისი ანტირუსული ქმედებებისთვის დააკავა, რამაც დასავლეთის ქვეყნების მხრიდან მწვავე კრიტიკა გამოიწვია.[62] ამრიგად, კრემლმა საქართველოში შიდა პოლარიზებით ისარგებლა და უსაფუძვლო განცხადებებით დასავლეთის მიმართ ნდობა შერყევა სცადა და ამასთან ქართული ოპოზიცია რუსოფობიაში დაადანაშაულა.

2021 წლის გაზაფხულზე, საქართველოში ადგილობრივი არჩევნების დანიშვნამდე ექვსი თვით ადრე, პრორუსმა[63] ქართველმა **მაგნატმა** და ანტი-LGBT აქტივისტმა

58 ეთო ბუზიაშვილი და სოფო გელავა, „საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ხმების გაყალბებისა და ძალადობის ბრალდებებით დაიჩრდილა", ციფრული სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორია, 19 ნოემბერი, 2020 წ., https://medium.com/dfrlab/georgian-parliamentary-elections-marred-by-allegations-of-vote-rigging-and-violence-61ea43b192a9

59 გივი გიგიტაშვილი, „კრემლის მხარდამჭერი მედია საშუალებები საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისით სარგებლობენ", ციფრული სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორია, 2021 წლის 9 მარტი. https://medium.com/dfrlab/pro-kremlin-outlets-capitalize-on-the-political-crisis-in-georgia-ccfbb78bc471

60 მიროვოე ობოზრენიე, „რუსოფობი მელია პირდაპირ პარტიის შტაბ-ბინაში დააკავეს", 2021 წლის 23 თებერვალი, https://web.archive.org/web/20210402213817/https://tehnowar.ru/214566-rusofoba-meliju-zaderzhali-prjamo-v-shtabe-partii.html

61 News Front, „რუსოფობიის გამო საქართველო ღრმა პოლიტიკურ კრიზისში ჩავარდა ", 19 თებერვალი, 2021 წ. https://news-front.info/2021/02/19/iz-za-rusofobii-gruziya-pogruzilas-glubochajshij-v-politicheskij-krizis/

62 Vzgliad, "Aანტირუსულმა ტრიუკმა საქართველო დასავლეთთან კონფლიქტამდე მიიყვანა", 2021 წლის 23 თებერვალი. https://vz.ru/world/2021/2/23/1086435.html

63 Christina Pushaw, "Don't underestimate the threat of Georgia's "knight in shining armor", New Europe, 2019 წლი 18 ივნისი, https://www.neweurope.eu/article/dont-underestimate-the-threat-of-georgias-knight-in-shining-armour/

ლევან ვასაძემ ახალი პოლიტიკური პარტიის[64] „ერთობა, რაობა, იმედი"-ს დაარსებაზე განაცხადა. **ვასაძის განცხადების შემდეგ მალევე, კრემლის მომხრეებმა ქართველი მაგნატის პოპულარიზაცია დაიწყეს და მას ახასიათებდნენ, როგორც „ანტილიბერალ მართლმადიდებელ ქრისტიანს და აბორტის მოწინააღმდეგეს", რომელიც საქართველოს დასავლური გავლენისგან იცავს და განსხვავებით სხვა ქართული პოლიტიკური პარტიებისა პირველ ადგილზე ოჯახურ ღირებულებებს აყენებს.** ამ პუბლიკაციებში გამოქვეყნებულ სტატიებში ნათქვამია, რომ „არ უნდა არსებობდეს დიალოგი ლიბერალურ დასავლეთთან, რომელმაც მის ქრისტიანულ საფუძვლებს უღალატა" და ამტკიცებენ, რომ საქართველო და რუსეთი დასავლური გავლენის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდნენ. საეჭვო ანგარიშების მიერ იგივე ნარატივები გავრცელდა რუსულ სოციალურ ქსელ VK-ზე, რომლებიც აღწერის სექციაში თავს „საინფორმაციო გვერდებად" ასაღებენ. ვასაძეს Facebook-ის მეშვეობით Alt-Info-ც უწევს პოლპულარიზაციას, რომელიც საქართველოში ანტიდასავლური და ანტი-LGBT ნარატივების გამავრცელებელი ულტრამემარჯვენე ჯგუფს წარმოადგენს.[65]

Tbilisi Pride-ის თავდაპირველად 2021 წლის 5 ივლისისთვის მიერ დაგეგმილ მშვიდობიან აქცია[66] - «ღირსების მარშის» გამართვამდე, ქართული ულტრამემარჯვენე და კრემლის მხარდამჭერი ჯგუფები, ისევე, როგორც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ონლაინ სივრცეში ლგბტქ თემს[67], მის მხარდამჭერებს და დასავლეთს ესხმოდნენ თავს.[68] 50-ზე მეტ ჟურნალისტზე განხორციელდა თავდასხმა. მათ შორის იყო „ტვ პირველის" ოპერატორი, რომელსაც სახის არეში სასიკვდილო დაზიანებები აღენიშნებოდა, რის შედეგადაც იგი რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. არაერთი ანონიმური გვერდის მიერ Facebook-ზე ორიგინალური შინაარსით გამოქვეყნებულ ვიდეოში, Alt-Info-ს ერთ-ერთი ლიდერი და 5 ივლისის ძალადობის მთავარი წამქეზებელი, ზურა მახარაძე, მაყურებლებს თბილისის ცენტრში Pride-ის ზეიმის აღსაკვეთად შეკრებისკენ მოუწოდებს. Alt-Info-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, კონსტანტინე მორგოშიამ, რადიკალურ ჯგუფებს მოუწოდა შტურმი მიეტანათ „სირცხვილიას" (Shame Movement)[69][70] ოფისზე, რადგან იგი Tbilisi Pride-თან იყო დაკავშირებული. 2020 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც Facebook-მა მათი პლატფორმა გააუქმა, საკუთარი კონტენტის გასავრცელებლად ახალი საშუალებების ძიებაში, Alt-Info დაშიფრული შეტყობინებების აპლიკაციებზე გადაერთო, სადაც ნაკლებად ხდება კონტენტის მოდერაცია. შესაბამისად Tbilisi Pride-ის კვირეულის წინააღმდეგ მხარდამჭერების მობილიზება დაშიფრული შეტყობინებების აპლიკაციების მეშვეობით მოხდა.[71]

Pride კვირეულის წინა პერიოდში, **ანტიდასავლური რიტორიკა ასევე შეინიშნებოდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ გავრცელებულ ნარატივებში, რომელიც თავისი ულტრაკონსერვატიული**

64 Civil.ge, „ფოტოებში | ვასაძე თბილისში ულტრაკონსერვატორთა აქციას უმასპინძლებს", 2021 წლის 17 მაისი, https://civil.ge/archives/419881

65 ეთო ბუზიაშვილი, „ქართველი მაგნატი პოლიტიკაში შემოდის, ხოლო კრემის მხარდამჭერი მეია საშუალებები და ქართველი ულტრამემარჯვენეები მას ონლაინ პროპაგანდას უწევენ", Digital Forensic Research Lab, 2021 წლის 26 მაისი. https://medium.com/dfrlab/georgian-tycoon-enters-politics-as-pro-kremlin-outlets-and-georgian-far-right-promote-him-online-febb6bf4b487

66 ეთო ბუზიაშვილი და სოფო გელავა, „ონლაინ მოწოდებები საქართველოს ლგბტქ თემის წინა აღმდეგ თავდასხმების შესახებ რეალურ ძალადობაში გადაიზარდა", 2021 წლის 23 ივლისი,https://medium.com/dfrlab/online-calls-for-attacks-against-georgias-lgbtq-community-result-in-offline-violence-b3fad0538d59

67 ეთო ბუზიაშვილი და სოფო გელავა, „ონლაინ მოწოდებები საქართველოს ლგბტქ თემის წინა აღმდეგ თავდასხმების შესახებ რეალურ ძალადობაში გადაიზარდა", 2021 წლის 23 ივლისი https://medium.com/dfrlab/online-calls-for-attacks-against-georgias-lgbtq-community-result-in-offline-violence-b3fad0538d59

68 Tbilisi Pride Week 2021, https://tbilisipride.ge/en-US/News/Details/108

69 Tabula, Twitter, 2021 წლის 15 ივლისი, shorturl.at/ezCVY

70 Publika, Facebook, 2021 წლის 15 ივლისი

71 გივი გიგიტაშვილი, „ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფი Facebook-დან წაშლის შემდეგ შეტყობინებების აპლიკაციებზე გადადის ", Digital Forensic Research Lab, 2 ივნისი, 2021წ. https://medium.com/dfrlab/georgian-far-right-group-moves-to-messaging-apps-after-multiple-facebook-takedowns-2c6437e30f92

**პოზიციებითაა ცნობილი და ხშირად ემთხვევა კრემლის ინტერესებს**.[72] თავის ოფიციალურ განცხადებებში ეკლესიას სამიზნედ დასავლურ ინსტიტუტები და საელჩოები, განსაკუთრებით აშშ-ს ელჩი დეგნანი და ზოგადად ევროკავშირი ჰყავდა ამორჩეული. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ 3 ივლისს გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მიუღებელია ცალკეული საელჩოების ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში და „უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება".[73] მართლმადიდებელი ეკლესიის და Alt-Info-ს წარმომადგენლები შეერთებულ შტატებს «საქართველოს მორალურ ოკუპაციაში» და «საქართველოზე კოლონიური ადმინისტრაციის» დაწესებაში ადანაშაულებენ. იმავე ვიდეოში რუსეთი ტრადიციული ღირებულებებისა და ქართული იდენტობის დამცველად იყო წარმოჩენილი. ამის საფუძველზე, **ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფები Tbilisi Pride-ზე და მარშის მხარდამჭერებზე თავდასხმით პირდაპირ ეხმიანებოდნენ რუსულ პროპაგანდას.**[74] ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარატივის თანახმად, რომელიც რუსულმა პროპაგანდისტულმა[75] მედიასაშუალებებმა[76] და ქართულმა ჰომოფობმა აქტორებმა[77] გააჟღერეს, Tbilis Pride კვირეული აშშ-ის საელჩომ დაგეგმა და შეტევა ხდებოდა პირადად აშშ-ს ელჩზე საქართველოში, კელი დეგნანზე.

**რუსულმა პროპაგანდისტულმა მედიამ და ქართულმა ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა ასევე გააქტიურეს ევროკავშირის საწინააღმდეგო ნარატივები.** რეგნუმმა LGBT Pride-ის თავსმოხვევის გამო დასავლეთი საქართველოს 1500-წლიანი ისტორიის, ტრადიციებისა და კულტურის შეურაცხყოფაში დაადანაშაულა, ხოლო რუსეთის დუმის სენატორმა ვიტალი მილოვმა თბილისში მომხდარ ძალადობასთან დაკავშირებით საჯაროდ გამოხატა კმაყოფილება და განაცხადა, რომ ისაღფრთოვანებით უყურებდა, თუ როგორ «იცავდნენ საქართველოს მოქალაქეები მათ ტრადიციულ ღირებულებებს".[78] ქართული ულტრა-მემარჯვენე ჯგუფები მალევე აყვნენ ანტი-LGBTQ ნარატივებს. აშშ-ს საელჩოს წინორგანიზებული აქციისგარდა, გურამ ფალავანდიშვილმა საპროტესტო აქცია საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ოფისის წინაც მოაწყო და დელეგაციის ხელმძღვანელს, კარლ ჰარცელს მოუწოდა „შეეწყვიტა LGBTQ Pride-ის ჩატარებაზე საქართველოს მთავრობის იძულება" და შეახსენა, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა.[79] 5 და 6 ივლისს LGBTQ ჯგუფების წინააღმდეგ ძალადობის ფონზე, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა ორჯერ ჩამოხსნეს და დაწვეს საქართველოს პარლამენტის წინ ჩამოკიდებული ევროკავშირის დროშა.

**რუსული მედიის კიდევ ერთი ნარატივის თანახმად LGBT Pride კვირეულის უკან ქართული ოპოზიცია იდგა.** მაგალითად, კრემლის მხარდამჭერმა გამოცემებმა

72 Michael Cecire, "The Kremlin Pulls on Georgia", 2015 წლის 9 მარტი https://foreignpolicy.com/2015/03/09/the-kremlin-pulls-on-georgia/

73 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო „საქართველოს საპატრიარქოს განცხადება (03.07.2021)" https://patriarchate.ge/news/2776

74 გივი გიგიტაშვილი, „ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფები რუსული მედიის მიერ წამოწეულ ანტილგბტ ნარატივებს იზიარებენ", ციფრული სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორია, 2021 წლის 26 ივლისი, https://medium.com/dfrlab/georgian-far-right-groups-embrace-anti-lgbtq-narratives-pushed-by-pro-russian-media-36f9e99a2561

75 Vesti, "გეი აღლუმი თბილისში ჩხუბით დასრულდა", 60 წუთი, 6 ივლისი, 2021 წ., https://www.vesti.ru/video/2314791

76 News Front, „რატომ არის თბილისის გეი-პრაიდი ასეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო დეპარტამენტისთვის? 2021 წლის 7 ივლისი, https://news-front.info/2021/07/07/pochemu-gosdepu-tak-vazhen-gey-parad-v-tbilisi

77 TV Pirveli, „თბილისი პრაიდის ოპონენტები ამჯერად აშშ-ს ელჩის გადადგომას ითხოვენ", 2021 წლის 30 ივნისი. https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/6095-tbilisi-praidis-motsinaagmdegeebi-amjerad-amerikis-elchis-gadadgomas-itkhov

78 RIA FAN, „მილონოვი აღფრთოვანებულია საქართველოში ლგბტ მარშის მარცხით", 2021 წლის 6 ივლისი. https://riafan.ru/1479962-milonov-v-vostorge-ot-razgroma-marsha-lgbt-v-gruzii

79 ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება, „გურამ ფალავანდიშვილი ევროკავშირის ელჩს კარლ ჰარცელს მიმართავს", YouTube, 30 ივნისი, 2021 წ., https://www.youtube.com/watch?v=q76D75eXqcg

„ცარგრადმა"-მა[80] და „ეურაზია დაილიმ"-მ[81] დაწერეს, რომ მარშის უკან საქართველოს „ფერადი რევოლუციონერების ძველი გვარდია" (ანუ ქართული ოპოზიცია) დგას და რომ დასავლეთი ოპოზიციას თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს. საქართველოში. ოპოზიციის ირგვლივ არსებული ნარატივი მალევე აიტაცეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა.[82] აღნიშნული რუსული ნარატივები ფაქტებით არ არის გამყარებული და ძირითადად დასავლეთის წინააღმდეგ ხალხის მობილიზებას ემსახურებოდა მიზნად.

**გავრცელებული დეზინფორმაციის ერთ-ერთ თემად COVID-19 პანდემია დარჩა. ერთ-ერთი თვალსაჩინო შემთხვევა[83] უკავშირდება ვიდეოს, რომელშიც ასახულია, თუ როგორ აღვივებენ ვაქცინაციის საწინააღმდეგო განწყობებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი მღვდლები. ვიდეო ინტერნეტში Facebook-ის, YouTube-ის და დეზინფორმაციით ცნობილი კრემლის მხარდამჭერი ონლაინ საინფორმაციო საშუალებით გავრცელდა.** Facebook-ზე მომხმარებლებს მოუწოდებდნენ, რომ ვიდეო ჩამოეტვირთათ და ხელახლა გამოექვეყნებინათ, რაც ვიდეოს სრულად წაშლას ართულებდა.

***შეჯამებისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრემლმა 2021 წელს საქართველოში გაჭიანურებული პოლარიზაცია გამოიყენა. კრემლთან დაკავშირებული რუსული მედია საშუალებები და ჯგუფები ცდილობდნენ საკუთარი აუდიტორიისთვის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დამახინჯებული აღქმა ჩამოეყალიბებინათ. ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფები და პოლიტიკური პარტიები რუსულ ნარატივებს შეუერთდნენ და დასავლეთს ქართული ტრადიციული ღირებულებითი სისტემისთვის ძირის გამოთხრაში და ქვეყანაში არასტაბილურობის გაღვივებაში ადანაშაულებდნენ. აღნიშნული ფორმით ისინი ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობის ჩანერგვას ცდილობდნენ.***

80 Tsargrad, „თბილისი ბრძოლის ველი იყო: აშშ დამარცხდა" 2021 წლის 9 ივლისი. https://tsargrad.tv/articles/tbilisi-byl-polem-boja-ssha-poterpeli-porazhenie_380131

81 Eurasia Daily, „არაა მზადყოფნა რუსეთთან საბრძოლველად: რატომ ცახცახებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სკამი? 2021 წლის 10 ივლისი, https://eadaily.com/ru/news/2021/07/10/ne-gotov-voevat-s-rossiey-pochemu-pod-premerom-gruzii-shataetsya-stul?utm_source=yxnews&utm_medium=desktop

82 Interpressnews, „ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, „თბილისი პრაიდის" უკან მიხეილ სააკაშვილი და რადიკალური ოპოზიცია დგანან", 2021 წლის 5 ივლისი. https://www.interpressnews.ge/ka/article/664120-irakli-garibashvilis-gancxadebit-tbilisi-praidis-ukan-mixeil-saakashvili-da-radikaluri-opozicia-dgas/

83 ეთო ბუზიაშვილი და სოფო გელავა, "ქართველი მართლმადიდებელი მღვდელმთავრები ვაქცინაციის საწინააღმდეგო დეზინფორმაციის გავრცელებას ხელახალი გაზიარებით ახდენენ ", 31 აგვისტო, 2021წ. https://medium.com/dfrlab/video-of-georgian-orthodox-priests-pushing-anti-vax-disinfo-spread-through-republishing-2b0dcf8907c5

## 1.6. COVID-19 ინფოდემია და რუსეთი - ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მის/დეზინფორმაცია

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის საწყის ეტაპზე, საქართველომ წარმატებით მოახერხა ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლა,[84] ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დიდი ხანია დაჩრდილა საწყისი პროგრესი. კერძოდ, ვაქცინაციის შემცირებულმა მაჩვენებელმა[85] და ერთ სულ მოსახლეზე სიკვდილიანობის ერთ-ერთმა ყველაზე მაღალმა მაჩვენებელმა,[86] ქვეყანა „წითელ ზონაში" მოათავსა - რაც ყველაზე მაღალ რისკზე მიუთითებს.[87] საქართველოში ვაქცინაციასთან დაკავშირებული მერყეობა შეიძლება მრავალ ფაქტორს მივაწეროთ, ვინაიდან სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები მოსახლეობაში ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ჭეშმარიტ შიშებს საკუთარ ინსტრუმენტებად იყენებენ.

«Critical Mass»-ის მიერ სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში - საქართველოში, ყაზახეთსა და უკრაინაში ჩატარებულმა" კვლევამ[88] ადგილობრივ აქტორებს შორის გამოავლინა სამედიცინო პროფესიონალი, რელიგიური ლიდერები და რუსეთთან აფილირებული (ან მათი მარიონეტები) ადგილობრივი ჯგუფები, რომლებიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციას ავრცელებენ. კვლევამ სამ ქვეყანას შორის რწმენაზე დაფუძნებული ინსტიტუტების როლების თვალსაზრისით, საქართველო და უკრაინა გამოყო, სადაც ასეთი ჯგუფები მნიშვნელოვან გავლენას ფლობენ და COVID-19-თან დაკავშირებით დეზინფორმაციას და მისინფორმაციას ავრცელებენ. **მართლმადიდებელი სასულიერო პირების გარდა, კრემლთან აფილირებული ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფებიც პანდემიას ლიბერალიზმისა და დასავლური ცხოვრების წესიდან გამომდინარე ცოდვებისთვის ღვთაებრივ სასჯელად მოიაზრებენ და „ცხედრებით დაფარულ ევროპას" „ლიბერალიზმის ფიასკოს" მტკიცებულებად წარმოაჩენენ**.[89]

ცალკეულ შემთხვევებში ანტივაქსერული კამპანიების პოლიტიზებული ბუნება აშკარა იყო. მაგალითად, **კრემლის მიერ დაფინანსებული Sputnik[90] ან სხვა ადგილობრივი სატელიტი მედია საშუალებები, რომლებიც ზოგადად ეწინააღმდეგებოდნენ ვაქცინაციას, ხაზს უსვამდნენ რუსული Sputnik V-ის უპირატესობას[91] და მისი**

84 Rayhan Demytrie, Coronavirus: How 'three musketeers' helped Georgia fight virus, 2020 წლის 6 ივლისი, BBC https://www.bbc.co.uk/news/world-europe-53269000

85 საქართველო მსოფლიოში 63-ე ადგილზეა, მთლიანი მოსახლეობის 26%-ს ვაქცინის მინიმუმ ერთი დოზა აქვს გაკეთებული Reuters, Covid ვაქცინაციის მრიცხველი, მოძიებულია 2021 წლის 8 ოქტომბერს https://tmsnrt.rs/3mHPOwz

86 საქართველო მსოფლიოში 56-ე ადგილზეა COVID-19-ით გამოწვეული გარდაცვლილთა საერთო რაოდენობით. WHO Coronavirus (COVID-19) Dashboard, მოძიებულია 2021 წლის 8 ოქტომბერს. https://covid19.who.int/table ქვეყანა 1 მილიონ მოსახლეზე დაღუპულთა რაოდენობით მე-14 ადგილს იკავებს . Worldometer, მოძიებულია 2021 წლის 8 ოქტომბერს. https://www.worldometers.info/coronavirus/#countries

87 CDC, COVID-19 სამოგზაურო რეკომენდაციები დანიშნულების ადგილების მიხედვით, განახლებულია 2021 წლის 4 ოქტომბერს, მოძიებულია 2021 წლის 8 ოქტომბერს https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/travelers/map-and-travel-notices.html

88 Critical Mass. U.S. State Department, 2021 Contaminated Trust. Public Health Disinformation and its Societal Impacts in Georgia, Kazakhstan, and Ukraine: https://issuu.com/thecriticalmass/docs/contaminated_trust

89 თამარ კინწურაშვილი, ინფოდემია საქართველოში - 2020. მედიის განვითარების ფონდი. 2021. გვერდი 20. http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/201

90 Sputnik-ossetia,16 აგვისტო, 2020. „Sputnik" – კორონავირუსის მკვლელი: რუსულ ვაქცინას შეუძლია მსოფლიო გადაარჩინოს" https://bit.ly/39UZyOP

91 გიორგი რაზმაძე, მღვდელი: „დაახლოებით ორი თვის წინ რუსეთმა გამოაცხადა, რომ უკვე შექმნა ვაქცინა და, თუ მეხსიერება არ მღალატოვს, რამდენიმე დიდმა ქვეყანამ განაცხადა, რომ უკვე შეიძინეს. რატომ არიან [ჯანდაცვის ორგანოები] ჩუმად და არაფერს ამბობენ?" თამარ კინწურაშვილი, ინფოდემია საქართველოში -2020. მედიის განვითარების ფონდი. 2021. გვერდი 17. http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/201
გაზეთი ასავალ-დასავალი, 29 მარტი - 4 აპრილი. თინა თოფურია, Homepath: [ხელისუფლება] არც კი ახსენებს რუსულ ვაქცინას, რადგან ოპოზიცია ჩასაფრებულია. მაგრამ თუ სიმართლე გაინტერესებთ, ხალხი უფრო მეტად ენდობა რუსულ ვაქცინებს, ვიდრე ამერიკულს!"

**დასავლური ანალოგების დელეგიტიმაციას ეწეოდნენ**.[92]

ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, რუსეთის მთავრობის მიერ დაფინანსებულ და კრემლის სატელიტურ ადგილობრივ მედიასაშუალებებში ანტიდასავლური კონტექსტი ჭარბობდა. კერძოდ, ეს მედიასაშუალებები ავტორიტარულ ქვეყნებს (როგორიცაა რუსეთი, ჩინეთი და სოციალისტური სისტემა) და დასავლეთს შორის დიქოტომიის ჩამოყალიბებას ცდილობდნენ. პირველ ჯგუფს წარმატების მაგალითად წარმოაჩენდნენ, ხოლო მეორეს პანდემიასთან გამკლავების უუნარობის და ევროპული ქვეყნების მიმართ სოლიდარობის ნაკლებობის გამო აკრიტიკებდნენ. აღნიშნული ევროატლანტიკური სკეპტიციზმის სახით გამოვლინდა და გაჟღერდა ვარაუდები, რომ Covid-19 პანდემიის გამო ევროკავშირი დაიშლებოდა,[93] ხოლო ნატო[94] უფუნქციო გახდებოდა.

პოლიტიკური მოტივები კიდევ უფრო აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც საქართველომ მიიღო დასავლური წარმოების COVID-19 ვაქცინების დიდი პარტია, კერძოდ, აშშ-ს მიერ საჩუქრად გადმოცემული Pfizer/BioNTech-ის ნახევარი მილიონი დოზა[95]. **აშშ-ის დახმარების ჩამოსვლასთან ერთად, ანტივაქსერები გააქტიურდნენ როგორც ფიზიკურ ისე ონლაინ სივრცეში, რაც გამოიხატებოდა პარლამენტის წინ სავალდებულო ვაქცინაციის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების ჩატარებით[96] და ონლაინ, COVID-თან დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელებით**. აღსანიშნავია, რომ პრო-კრემლისტური განწყობების მქონე ლევან ვასაძისა და მისი პარტიის - „ერის" მხარდამჭერები, რომლებაც 2021 წლის 5 ივლისს ლგბტ+ თემის წინააღმდეგ ძალადობრივი დემონსტრაცია მოაწყვეს, ასევე, აქტიურად მონაწილეობდნენ აცრის საწინააღმდეგო აქციებში[97] და სხვადასხვა არხებით ავრცელებდნენ დეზინფორმაციას.

კრემლთან დაკავშირებული ულტრამემარჯვენე ჯგუფების გარდა, მედიის განვითარების ფონდმა გამოავლინა არაავთენტური ანგარიშები, რომლებიც ჩართული იყვნენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დეზინფორმაციის „გათეთრებაში" და მიზანმიმართულად ეწეოდნენ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (NCDC) არსებულ რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიის საწინააღმდეგო კამპანიას, რომელიც აშშ-ის მთავრობის დახმარებით შეიქმნა[98]. რამდენიმე შემთხვევამ ასევე წარმოაჩინა, თუ როგორ ავრცელებდნენ არაავთენტური ანგარიშები და კრემლთან დაკავშირებული ბულგარელი ჟურნალისტი[99] 2020 წლის სექტემბერში ლუგარის ლაბორატორიაზე განხორციელებული კიბერშეტევის შედეგად გაჟონილ იდენტურ დოკუმენტებს. ლუგარის ლაბორატორია, რომელსაც სახელი

92 Sputnik Georgia, "აშშ ვერ ახერხებს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნას - ვინ არის დამნაშავე?" 2020 წლის 10 ოქტომბერი. https://bit.ly/2OirjbJ

93 Sputnik-ოსეთი, „ევროპა ეპიდემიას გადურჩება . მაგრამ შეძლებს თუ არა ევროკავშირი რომ მას გადაურჩეს?" 26 მარტი, 2020. https://bit.ly/3pkATaR

94 თამარ კინწურაშვილი, ანტიდასავლური პროპაგანდა 2020, მედიის განვითარების ფონდი. გვერდი 18. http://mdfgeorgia.ge/uploads//antidasavlurieng2020_compressed.pdf

95 Civil.ge-მ აშშ-მა საქართველოს ნახევარი მილიონი COVID-ის საწინააღმდეგო ვაქცინა აჩუქა, 24 ივლისი, 2021 https://civil.ge/archives/433790

96 თვალსარისი, აცრის საწინააღმდეგო პროტესტი 20201 წლის 24 ივლისი https://www.youtube.com/watch?v=uy3v5hVw9bs

97 ბექა ვარდოსანიძის, ბლოგერის და ERI პარტიის მხარდამჭერის ფეისბუქ ლაივი https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=185296853617468

98 თამარ კინწურაშვილი, ინფოდემია საქართველოში -2020. მედა განვითარების ფონდი. 2021. გვერდი 35 http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/201

99 მითების დეტექტორი, 2020 წლის 7 დეკემბერი. ტროლები და კრემლთან დაკავშირებული ჟურნალისტი მანიპულაციურად ავრცელებენ ლუგარის ლაბორატორიიდან გაჟონილ დოკუმენტებს. https://bit.ly/30TKvja 2021 წლის 17 თებერვალი. Московский Комсомолец პენსილვანიიდან ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ https://bit.ly/3tzgwsP

ამერიკელი სენატორის რიჩარდ ლუგარის[100] პატივსაცემად ეწოდა, უკვე წლებია, მტრულად განწყობილი სახელმწიფო აქტორების, მათ შორის თავად პრეზიდენტ პუტინისა და რუსეთის სხვა უმაღლესი პოლიტიკური ჩინოვნიკების სამიზნეა[101].

მსოფლიოს ირგვლივ, აშშ-ის საკუთრებაში არსებული ბიოქიმიური ლაბორატორიების თემა ჩინურმა პროპაგანდამაც აიტაცა. აშშ-ის მცდელობის საპასუხოდ, გამოეძიებინა COVID-19-ის წარმოშობა, ჩინურმა სახელმწიფო მედია New China TV-მ გამოაქვეყნა ვიდეო[102] ამერიკული ლაბორატორიების შესახებ, მათ შორის ჩანს თბილისში დაფუძნებულ ლუგარის ლაბორატორია, სადაც ვიდეო ამტკიცებს, რომ აშშ ატარებს სახიფათო ექსპერიმენტებს და შესაძლოა ეს იყოს გლობალური პანდემიის წყარო. პრო-კრემლისტურმა აქტორებმა სწრაფადვე აიტაცეს და გააძლიერეს ჩინური პროპაგანდისტული მასალები ქართულ სოციალურ ქსელებში და გაიმეორეს ძველი შეთქმულებები ბიო-სუბვერსიის საფრთხეების შესახებ.[103]

***დასკვნის სახით შეგვიძლია გამოვკვეთოთ საქართველოში ჯანდაცვასთან დაკავშირებული დეზინფორმაციის ძირითადი ტენდენციები. კერძოდ, ვაქცინაციის საგანგაშო დაბალ მაჩვენებელს კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ანტიდასავლური და პროკრემლისტური აქტორები და მათი ადგილობრივი სატელიტები ცდილობენ არსებული შიშები შედარებით მოწყვლად მოსახლეობაში საკუთარი დღის წესრიგის წინსვლისთვის გამოიყენონ. გარდა COVID-19-თან დაკავშირებული დეზინფორმაციის გავრცელებისა, როგორც ტრადიციულ, ისე სოციალურ მედიაში, ეს აქტორები ღიად მიუთითებენ დასავლეთის წარუმატებლობაზე გლობალურ პანდემიასთან ბრძოლაში და, საპირისპიროდ, წარმოაჩენენ რუსეთს, როგორც წარმატების ისტორიას. პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების გარდა, დასავლეთის მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის ობიექტები გახდნენ რუსი, ბელარუსი და ჩინელი აქტორების ძირითადი სამიზნე, რომლებიც ავრცელებდნენ ცრუ ნარატივებს იმის შესახებ, რომ დასავლეთი საქართველოში ლაბორატორიებს ბიოლოგიური დივერსიისთვის საჭირო იარაღის წარმოებისთვის აშენებს.***

100 სენატორების სემ ნანისა და რიჩარდ ლუგარის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მიღებული იქნა კონგრესის მიერ, მიზნად ისახავდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მთელ მსოფლიოში მიმოფანტული მასობრივი განადგურების იარაღის გარდაქმნას მშვიდობიანი სამეცნიერო მიზნებისთვის. ეროვნული უსაფრთხოების არქივის ელექტრონული ბრიფინგის წიგნი No. 447 https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB447/

101 ანტიდასავლური პროპაგანდა 2019. მედიის განვითარების ფონდი. გვერდი 30 http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/173

102 ახალი ჩინეთის ტელევიზია, აშშ-ს გლობალური ბიოქიმიის ლაბორატორიების სკანირება თანამგზავრის საშუალებით, 2021 წლის 27 ივლისი: https://www.youtube.com/watch?v=A35oSnQPGL0

103 მაიკო რატიანი, პროკრემლისტური მედია იყენებს ჩინურ პროპაგანდისტულ ფილმს ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ, მითების დეტექტორი, 2021 წლის 29 ივლისი http://mythdetector.ge/en/myth/pro-kremlin-media-uses-chinese-propagandist-film-against-lugar-laboratory

# ნაწილი II - უმცირესობების ექსპლოიტაცია

გასულ წელს, უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა საქართველოში მთიანი ყარაბაღის განახლებულ ომს და საქართველოს ძირითადად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში - კონფლიქტის გავრცელების რისკს უკავშირდებოდა. როგორც კვლევის წინა გამოცემაში იყო აღწერილი, უცხოური სადაზვერვო სამსახურები და უპირველეს ყოვლისა, რუსეთი - იყენებენ საქართველოს მოსახლეობის მრავალეთნიკურ შემადგენლობას და ეთნიკური უმცირესობების არსებულ მოწყვლადობის არეებს ეთნიკური დაძაბულობისა და ეთნიკური სეპარატიზმის გასაძლიერებლად.

საბედნიეროდ, 2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომის კონტექსტში საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებზე მიმართული დეზინფორმაციული კამპანიების უარყოფითი გავლენის გარკვეული გამოვლინების[104] მიუხედავად, ასეთი მავნე გავლენის საბოლოო მიზნები, კერძოდ, ეთნიკური კონფლიქტის პროვოცირება საქართველოში და საომარი მოქმედებების გადატანა ქვეყნის უპირატესად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები, ვერ იქნა მიღწეული

**თუმცა, კრემლთან დაკავშირებულ დეზინფორმაციულ კამპანიებს თავისი გამოძახილები 2021 წელსაც ჰქონდა. კერძოდ, ხელახლა გავრცელდა ორი ყალბი ამბავი, რომლებიც უარყო როგორც საქართველოს ხელისუფლებამ, ასევე სომხეთის საელჩომ საქართველოში** (ეს ყალბი ისტორიები ასევე განხილულია 2020 წლის კვლევაში):

1) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სირიელი მებრძოლები და იარაღი საქართველოს გავლით აზერბაიჯანში გადაჰქონდათ, ვირუსულად გავრცელდა, მათ შორის Russia Today-ს მიერ[105].

2) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველომ არ დაუშვა ჰუმანიტარული ტვირთის სომხეთში გადატანა, რუსულმა ონლაინ მედიასაშუალებამ გაავრცელა და ინფორმაციის წყარო იყო საქართველოში რუსული გავლენის ცნობილი აგენტი, ვლადიმერ ხომერიკი - „რუს და ქართველ ხალხთა ერთობის ფონდის" პრეზიდენტი[106].

სწორედ ეს ორი გზავნილი კიდევ ერთხელ გავრცელდა ვირუსულად 2021 წელს, საქართველოში ტურისტული სეზონის პერიოდში, აშკარა ნეგატიური ეკონომიკური მიზნებით ქვეყნის წინააღმდეგ. COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვებისა და შემდგომი ეკონომიკური უკუსვლის შემდეგ, 2021 წლის ზაფხულში, საქართველოს მთავრობამ შეარბილა რეგულაციები ეკონომიკის აღდგენის მხარდასაჭერად. ტურიზმის ინდუსტრია, საქართველოს მომსახურების სფეროში, შემოსავლის მთავარი წყარო, ამ კუთხით მთავარი სამიზნე იყო. ამ პერიოდში, Eurasianet-ის ცნობით[107], სომხურ სოციალურ მედიაში კიდევ ერთხელ გავრცელდა ზემოხსენებული მესიჯები, რომლებიც ამტკიცებდნენ საქართველოს მიერ სომხეთის ღალატს და ამით ანტიქართული განწყობის გაღვივებას. მესიჯებს მოჰყვა მოწოდებები სომხებს არ ემოგზაურათ საქართველოში და არ დაეგეგმათ იქ დასვენება[108].

104 ამის მაგალითებია: სომხებმა გადაკეტეს თურქეთის საქართველოსთან დამაკავშირებელი გზატკეცილი; მიწისქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტ კაბელების გადაჭრა/დაზიანება, რომლებიც ინტერნეტით უზრუნველყოფენ სომხეთს, ძირითადად ეთნიკურად აზერბაიჯანულ დასახლებებში და ა.შ.

105 იაკობ ლაჩაშვილი, 3 ოქტომბერი, 2020. დეზინფორმაცია: სირიელი მებრძოლები და იარაღი საქართველოს გავლით აზერბაიჯანში გადაჰყავთ. https://cutt.ly/cYMndyM

106 იაკობ ლაჩაშვილი, 7 ოქტომბერი, 2020. დეზინფორმაცია: საქართველო უარს ამბობს ჰუმანიტარული ტვირთის სომხეთში გადაყვანაზე. https://cutt.ly/YYMnbgn

107 ანი მეჯლუმიანი, 2021 წლის 7 ივლისი, ომის ფონზე, სომხები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ საქართველოში დასვენებას. https://cutt.ly/UYMWjxf

108 ეს შეტყობინებები იდენტიფიცირებულია Factcheck Georgia-ს და „მედია ინიციატივების ცენტრის" (სომხეთი) მიერ Facebook-ის მესამე ფაქტების შემოწმების პროგრამის ფარგლებში.

სტატისტიკურად, სომხები შეადგენენ საქართველოს ვიზიტორთა ერთ-ერთ ყველაზე დიდ წილს და საქართველო და მისი შავი ზღვის კურორტები ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სომხეთის მოქალაქეებისთვის. ამრიგად, ანტიქართული ამბების გავრცელებით, დეზინფორმაციული კამპანია ომის შემდგომი ემოციური ფონის ექსპლუატაციას ახდენდა და ცდილობდა სომხეთში ანტიქართული განწყობის ჩანერგვას და ქვეყნის ეკონომიკური აღდგენის შეფერხებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ კამპანიის ეკონომიკური ეფექტი არ არის ნათელი[109], ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის პირველ რვა თვეში, სომხეთიდან საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ დაახლოებით 89,000 შეადგინა[110], მაშინ როდესაც ეს რიცხვი 2020 წელს დაახლოებით 224,000 იყო. ეს წარმოადგენს 60.1%-იან კლებას 2020 წელთან შედარებით, მაშინ როცა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ყველა ქვეყნიდან საშუალოდ 27.1%-ით შემცირდა წლიურად.

საკმაოდ სპეკულაციური იქნებოდა იმის მტკიცება, რომ პირდაპირი კორელაციაა რუსეთის მიერ ინიცირებულ ანტიქართულ დეზინფორმაციას სომხეთში და სომეხი ვიზიტორების შემცირებულ რაოდენობას შორის საქართველოში[111]. თუმცა, ეს კამპანია ასახავს იმას, თუ როგორ იყენებს რუსეთი საინფორმაციო მანიპულაციებს საქართველოსთვის ეკონომიკური ზიანის მიყენების მიზნით.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც ასახავს კრემლის პოლიტიკას საქართველოს ეთნიკური უმცირესობების არსებული მოწყვლადობის გამოყენების მცდელობას, დაკავშირებულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ ანგარიშთან[112] „ადამიანის უფლებების მდგომარეობა გარკვეულ ქვეყანაში", რომელიც გამოქვეყნდა 2021 წლის 8 ივნისს. რუსეთმა აირჩია „არამეგობარი" ქვეყნები, მათ შორის ევროკავშირის წევრები და აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული სამეული საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ხოლო ანგარიში არ ეხება მათ, ვინც შედარებით მეგობრული ურთიერთობებით სარგებლობს კრემლთან.

საქართველოზე თავი კონკრეტულად ფოკუსირებულია ეთნიკური უმცირესობების უფლებებზე და მათ სავარაუდო „პრეტენზიებზე" ავტონომიის მიმართ. ნარატივის მხარდასაჭერად მოხსენებაში ნათქვამია: „მაგალითად, სომხური თემი დიდი ხანია აყენებს სამცხე-ჯავახეთის ავტონომიის საკითხს და ქვემო-ქართლის აზერბაიჯანელები ითხოვენ ფართო წარმომადგენლობას ადგილობრივ მმართველობის ორგანოებში, სადაც ყველა. მთავარი პოსტები ქართველებს უჭირავთ". ეს ანგარიში, ისევე როგორც რუსეთის მუდმივი მცდელობები საქართველოს შიგნით ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს შორის დაპირისპირების გამოსაწვევად, მიუთითებს მოსკოვის გრძელვადიან სტრატეგიაზე, შექმნას საფუძველი საქართველოში მომავალი დესტაბილიზაციისთვის.

109 სოციალური მედიის ზოგიერთმა მომხმარებელმა განაცხადა, რომ მათ გადაიფიქრეს საქართველოში გამგზავრება პოლიტიკური მიზეზების გამო, თუმცა ბევრმა სომეხმა კვლავ დაჯავშნა შვებულება და იმოგზაურა საქართველოში.

110 საერთაშორისო ვიზიტორებს შორის არიან ტურისტები (რომლებიც საქართველოში ერთ ღამეს მაინც ატარებენ) და სტუმრები, რომლებსაც ქვეყანაში ღამე არ გაუთევიათ. სომხეთიდან ჩამოსული ტურისტების ცალკე სტატისტიკა არ არის ხელმისაწვდომი სახელმწიფო უწყებების ვებსაიტებზე.

111 პანდემიისგან წარმოშობილმა გამოწვევებს შესაძლოა გარკვეული როლი შეესრულებინა სომხეთიდან საქართველოში ვიზიტორების რაოდენობის შემცირებაში.

112 Civil.ge. 13 ივნისი, 2021, საქართველო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა ანგარიშში. https://civil.ge/ru/archives/432046

ამრიგად, აშკარაა, რომ რუსეთი ორიენტირებულია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების არსებული მოწყვლადობების ექსპლუატაციაზე. შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსული პროპაგანდისტული კამპანიები იყენებს ისეთ კრიზისებს, როგორიცაა მაგალითად მთიანი ყარაბაღის ომი, დეზინფორმაციის გასავრცელებლად და პროპაგანდისტული კამპანიების მეშვეობით ეთნიკური დაძაბულობის გასაძლიერებლად. მიუხედავად იმისა, რომ უკიდურესად რთულია ამ კამპანიების ზუსტი შედეგების გაზომვა, სოციალურ მედიაში გავრცელებულმა დეზინფორმაციამ წაახალისა გარკვეული სახიფათო აქტივობები, მათ შორის იყო საქართველოში ტურიზმის სექტორის საბოტაჟის მცდელობა. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხსენება „ადამიანის უფლებების მდგომარეობა გარკვეულ ქვეყნებში" მოწმობს, რუსეთი დიდ ყურადღებას აქცევს ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოში და, შესაბამისად, არ უნდა გამოირიცხოს მომავალი მავნე გავლენის კამპანიები.

# ნაწილი III - ჩინეთი

## 3.1. ჩინეთის გავლენები აკადემიასა და არასამთავრობო სექტორში

ყოველწლიურად, **ჩინურ-ქართული საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოებითა და ორმხრივი პარტნიორობით, ჩვენ ვხედავთ ჩინეთის გავლენის ზრდას საქართველოს აკადემიურ და არასამთავრობო სექტორში.** კონფუცის სამი ინსტიტუტი[113] წარმოადგენს საქართველოს საგანმანათლებლო სექტორში არსებული ჩინური გავლენების ძირითად საყრდენს.

კონფუცის ინსტიტუტები არის საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებიც დაფინანსებულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ. მათი მიზანია ხელი შეუწყონ ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, დასავლური საზოგადოება ითხოვდა კონფუცის ინსტიტუტების დახურვას, რადგან მათ აღიქვამს, როგორც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ეფექტურ იდეოლოგიურ იარაღს, რომელიც ქმნის უსაფრთხოების რისკებს მათ ქვეყნებში, საქართველოში აკრედიტირებულმა აკადემიურმა ინსტიტუტებმა აქტიურად დაიწყეს მათთან თანამშრომლობა. აღსანიშნავია, რომ თავისუფალმა უნივერსიტეტმა, თბილისის ღია უნივერსიტეტმა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უკვე დანერგეს სამი ოფიციალური კონფუცის ცენტრი ქვეყანაში[114]. საქართველოს უნივერსიტეტებსა და კონფუცის ცენტრებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით, ამ უკანასკნელის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ჩინური ენის სწავლებით და მოიცავს სხვადასხვა საგნის სწავლებასაც. სამოქალაქო იდეამ გამოითხოვა ინფორმაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან კონფუცის ინსტიტუტისა და საქართველოში ეკონომიკური და კულტურული განვითარების ქართულ-ჩინური ცენტრის სამართლებრივი სტატუსის შესახებ[115]. საქართველოს სახელმწიფო სააგენტოს ასევე გაეგზავნათ დეტალური კითხვები ჩინეთის აკადემიური ინსტიტუტებისა და სსო-ების მიერ ორგანიზებული ტრენინგ-კურსების, მათი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების აკრედიტაციის შესახებ. მოთხოვნის საპასუხოდ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათ არ ამ ცენტრებისთვის არ მიუციათ ოფიციალური ავტორიზაცია და შესაბამისად, მათი საქმიანობა არ ექვემდებარება საქართველოს სახელმწიფო უწყების კონტროლს. შესაბამისად, განათლების სამინისტრო ვერ არეგულირებს, შეესაბამება თუ არა ჩინური ცენტრების საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ზოგად სტანდარტებს.

კონფუცის ინსტიტუტების გარდა, **ქართული უნივერსიტეტები ხშირად ინდივიდუალურად (ან ზოგჯერ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით) თანამშრომლობენ ჩინეთის სხვა უწყებებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროებში**. მაგალითად, კავკასიის უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს ჩინეთის სასტიპენდიო პროგრამებში. მათი ოფიციალური ვებ გვერდის

113 დამატებითი ინფორმაციისთვის ჩინეთის მზარდი აკადემიური და სამოქალაქო საზოგადოების გავლენის შესახებ საქართველოში, კონფუცის ინსტიტუტებსა და საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური და კულტურული განვითარების ცენტრების შესახებ, ეწვიეთ: https://civicidea.ge/en/2-report-on-georgian-chinese-affair/

114 ეროვნული უსაფრთხოების ფონდი, კონფუცის ინსტიტუტის პერსპექტივა საქართველოში, 16 მარტი, 2021 წ. https://nsf.com.ge/en/news/234/the-prospect-of-confucius-institute-in-georgia

115 ქართულ-ჩინური ეკონომიკური და კულტურული განვითარების ცენტრი არის საქართველო-ჩინეთის მეგობრობის ასოციაციის (GCFA) დამფუძნებელი ორგანიზაცია და მას ხელმძღვანელობს ივანე ჩხარტიშვილი, უაღრესად ოდიოზური ქართველი ბიზნესმენი, ყოფილი ვიცე პრემიერი და საქართველოს არაფორმალური მმართველის, ბიძინა ივანიშვილის, უახლოესი მოკავშირე. გთხოვთ, ეწვიოთ: https://europeanvalues.cz/en/mapping-research-comparing-foreign-influence-in-georgia/

მიხედვით, კავკასიის უნივერსიტეტის მმართველობის სკოლის სტუდენტებს მიენიჭათ ჩინეთის მთავრობის სტიპენდიები შანხაის პოლიტიკური მეცნიერებისა და სამართლის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად[116]. გარდა ამისა, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დაამყარა მჭიდრო კავშირები პეკინის ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან (BIT) და პეკინის უნივერსიტეტთან[117]. Unitracker-ის თანახმად[118], პეკინის ტექნოლოგიურ ინსტიტუტი „საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ძალიან მაღალი უსაფრთხოების რისკის შემცველი დაწესებულება, მისი საიდუმლო და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობის, თავდაცვის ლაბორატორიების და თავდაცვის კვლევითი სივრცეების დიდი რაოდენობისა და იარაღების კვლევაში ჩართულობის გამო[119]." გარდა ამისა, სამოქალაქო იდეასთან ელექტრონულ მიმოწერაში „წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართულმა უნივერსიტეტმა" დაადასტურა, რომ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტები ჩინეთს ეწვივნენ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ ჩინეთისა და საქართველოს უნივერსიტეტები ახორციელებენ ერთობლივ ძალისხმევას, რათა ხელი შეუწყონ იმ სტუდენტთა გაცვლას, რომლებიც სწავლობენ პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებს. დასავლეთის უნივერსიტეტებში სტიპენდიების შემცირებისა და ჩინეთის მხრიდან ინტერესის ზრდის ფონზე, დღეიდან ათ წელში, ჩვენ მივიღებთ ქართველების ახალი თაობის შეცვლილ რეალობას, ჩინური უნივერსიტეტის დიპლომებით და მსოფლიოს იმგვარი ხედვით, როგორც ეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის გაერთიანებული ფრონტის შესაბამისი განყოფილებების კარგად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების ლინზებით ჩანს.

### 3.2. პოლიტიკური მიზნებით მოტივირებული ჩინეთის კოროზიული ეკონომიკური აქტივობები (ინფრასტრუქტურის ჩათვლით)

საქართველოს სახელმწიფო უწყებები აგრძელებენ აქტიურ თანამშრომლობას კორუმპირებულ და სკანდალებით მოცულ ჩინურ კომპანიებთან ქვეყნის სტრატეგიულ სექტორებში (ინფრასტრუქტურა, თავდაცვა, უსაფრთხოება, ტელეკომუნიკაციები). ამ სახელმწიფო დაწესებულებებს შორის ყველაზე „გამორჩეული" საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტია, რომელიც, სამწუხაროდ, აგრძელებს ამ კომპანიებისთვის ქვეყნის ყველაზე კრიტიკული ინფრასტრუქტურული პროექტების (გზები, ხიდები, გვირაბები) გადაცემას. ის ჩინური კომპანიები, რომლებიც ძირითადად იმარჯვებენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, ხასიათდებიან რამდენიმე საერთო მახასიათებლით:

- კერძო თუ სახელმწიფო, ყველა კომპანიას აკონტროლებს ჩინეთის მთავრობა, შესაბამისად, პირდაპირ თუ ირიბად, ისინი ემსახურებიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის მიზნებს.
- ეს ჩინური ფირმები ძირითადად ფუნქციონირებენ განვითარებად, ან ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც სამთავრობო უწყებების გამჭვირვალობის დონე დაბალია, შესამჩნევია დემოკრატიული პრინციპების ნაკლებობა და კორუფციული გარიგებები ჩვეულებრივი მოვლენაა.
- ჩინეთის კომპანიების უმეტესობა, რომლებიც ჩვენი კვლევის საგანი გახდა,

116 კავკასიის მმართველობის სკოლა, CSG სტუდენტი გახდა ჩინეთის მთავრობის სტიპენდიის მფლობელი, 2016 წლის 1 აპრილი https://cu.edu.ge/ka/schoolss/csg/siakhleebi/csg--3701

117 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო სტუდენტები, https://gtu.ge/Eng/international-students/

118 "ჩინეთის თავდაცვის უნივერსიტეტების ტრეკერი არის ჩინური ინსტიტუტების მონაცემთა ბაზა, რომლებიც ჩართული არიან სამხედრო ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კვლევაში. ის შეიქმნა ASPI-ის საერთაშორისო კიბერპოლიტიკის ცენტრის მიერ" 2019 წელს. https://unitracker.aspi.org.au/

119 Unitracker, პეკინის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, 2021 წლის 13 მაისი https://unitracker.aspi.org.au/universities/beijing-institute-of-technology

გვხვდება სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (მაგ. მსოფლიო ბანკი, აფრიკის განვითარების ბანკი და ა.შ.) ან ცალკეული ქვეყნების მიერ შექმნილ კომპანიების შავ სიაში.

ამ კვლევის წინა წლის გამოცემაში, ჩვენ განვიხილეთ ქართული ბიზნესისა და პოლიტიკური ელიტის კორუფციული გარიგებები ცნობილ ჩინურ კომპანია CEFC-თან, რომელიც ფლობდა კრიტიკულ ინფრასტრუქტურას საქართველოში. ამჯერად განვიხილავთ საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართულობას ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასთან (თიზ) დაკავშირებულ კორუფციულ მაქინაციებში, რომლის 75% წილის მფლობელია CEFC-ის საქართველოს ფილიალი – შპს CEFC (ევრო-აზიური)". 2018 წლის მდგომარეობით, ფოთის თიზ-ის აქციების 75%-ს მართავს შპს „ევრო-აზიური მენეჯმენტ ჯგუფი", რომელსაც ფლობს ჩინური კომპანია CEFC და შპს Eurasian Invest.[120] მისი დირექტორები იყვნენ ჩინელი ჯანვეი ფანი და ქართველი რატი ღვამბერია, ივანე ჩხარტიშვილის ბიზნეს პარტნიორი, რომელიც თავად არის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.[121] 2020 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სრულიად გაუმართლებელი და უსაფუძვლო გადაწყვეტილებების საფუძველზე შპს „ევრო-აზიური მენეჯმენტ ჯგუფის" ერთპიროვნულ დირექტორად რატი ღვამბერია დაინიშნა. იმის გამო, რომ ჩინური დამფუძნებელი კომპანია CEFC უკვე გაკოტრებულია, მის ქართულ ფილიალს ახლა მხოლოდ რატი ღვამბერიასა და ივანე ჩხარტიშვილის მფლობელობაში მყოფი შპს „ევრო-აზიური მენეჯმენტ ჯგუფი" მართავს. 2020 წელს, სამოქალაქო იდეამ მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ფოთის თიზ-ის წილის შესაძენად „სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა" (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) და „CEFC"-ს (ევრო-აზიური) შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი. სამწუხაროდ, სახელმწიფო უწყებამ უარი თქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ხელშეკრულების კონფიდენციალურობის საბაბით. სამოქალაქო იდეამ ეს უარი თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. საქართველოს კანონის თანახმად, „ინფორმაციის დახურვის უფლება ეწინააღმდეგება სამთავრობო სააგენტოს ვალდებულებას, აწარმოოს ადმინისტრაციული წარმოება საჯაროდ და გამჭვირვალედ, მოქალაქეთა ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით". ფოთის თიზ-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის. ვინაიდან არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი მისი პრივატიზების პროცედურებთან და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ინფორმაცია უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი. მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა და არ დაავალა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მოთხოვნილი დოკუმენტაციის მიწოდება. ეს გარემოებები ხაზს უსვამს სახელმწიფო სტრუქტურების გაუმჭვირვალობას და აფერხებს მოქალაქეებისა და არასამთავრობო სექტორის კონტროლს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე.

## სინოჰიდროს მიერ საქართველოსთვის მიყენებული ეკოლოგიური ზიანი

120 ანაკლიის განვითარების კონსორციუმი: მთავრობის ქმედებები და სიტყვები, როგორც ჩანს, გამოხატავს მის მხარდაჭერას ფოთის მიმართ ანაკლიის ხარჯზე და აჩენს კითხვებს იმის შესახებ, განზრახ შეცდომაში შეჰყავდათ თუ არა როგორც ქართული საზოგადოება, ისე საერთაშორისო საზოგადოებები, 2020 წლის 27 ოქტომბერი: http://anakliadevelopment.com/news/has-the-georgian-government-revealed-its-true-intentions-regarding-anaklia-port/

121 ივანე ჩხარტიშვილი არის ყოფილი ეკონომიკის მინისტრი და საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი პრეზიდენტ შევარდნაძის რეჟიმის დროს. ჩხარტიშვილმა თანამდებობა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ დატოვა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე გამოძიება დაიწყო. ის საქართველოში მხოლოდ 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დაბრუნდა და დაუახლოვდა მაშინდელ პრემიერს, ივანიშვილს. მისი სახელი დაკავშირებულია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სკანდალთან. მეტი დეტალებისთვის იხილეთ რადიო თავისუფლების სტატია: https://www.radiotavisupleba.ge/a/ფოთი-ანაკლია-ღრმაწყლოვანი-პორტები-და-საეჭვო-კავშირები/31219742.html

საქართველოში დაფიქსირებული უარყოფითი გარემოსდაცვითი შემთხვევები მხოლოდ თურქულ ან რუსულ კომპანიებზე საუბრისას არ არის აქტუალური. საქართველოს ინფრასტრუქტურულ სექტორში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ჩინური კომპანია, „სინოჰიდრო", ასევე მონაწილეობს ქვეყანაში წარმოქმნილი ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებაში. კომპანიის საქმიანობაში დაფიქსირებულმა რამდენიმე დარღვევამ საფრთხე შეუქმნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივ რესურსებს. მაგალითად, 2014 წლის აპრილ-მაისში თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის სამშენებლო ტერიტორიაზე „სინოჰიდრომ" უკანონოდ მოჭრა 841 ხე.[122] მსგავსი პრობლემა გაჩნდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სადაც იგივე კომპანია უკანონოდ მოიპოვებდა ინერტულ მასალებს და ხრეშს, რამაც გამოიწვია ტერიტორიის დატბორვა და სასოფლო-სამეურნეო მიწების განადგურება, რამაც ადგილობრივ მოსახლეობას ეკონომიკური ზიანი მიაყენა.[123]

საავტომობილო გზების დეპარტამენტი „სინოჰიდროსგან" კომპენსაციას არ ითხოვდა.[124] მიუხედავად ამისა, კომპანიის წინააღმდეგ რუსთავში ხეების უკანონო ჭრის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მოგვიანებით კი „სინოჰიდროს" ზიანის ასანაზღაურებლად 5500 ხის დარგვა დაევალა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა განაცხადა, რომ „სინოჰიდრომ" დარგო ეს ხეები,[125] თუმცა მათი მდებარეობა და ამჟამინდელი მდგომარეობა უცნობია.

### 3.3. ჩინეთის გავლენა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში / სამომავლო რეგიონული პროგნოზები

ჩინეთის გავლენებმა ასევე მოიცვა საქართველოს თავდაცვის სექტორი, რადგან კომპანიები, რომლებიც აშკარად ან ირიბად იმართებიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ და ატარებენ უსაფრთხოების რისკებს, უფრო და უფრო მეტ თანამშრომლობას ეწევიან საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებთან. საქართველოს ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის აქტიური ჩართვა ქართულ პოლიტიკაში მხოლოდ ხელს უწყობს მათი მიზნების განხორციელებას. 2021 წლის 23 იანვარს, ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, სამინისტროს აქტიური ჩართულობით, უკრაინაში მოქმედმა ცნობილმა ჩინურმა კომპანიამ Motor Sich-მა ხელი მოაწერა სამმხრივ მემორანდუმს საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა"-სა და თბილისის თვითმფრინავების მწარმოებელ ქარხანასთან, რომელიც ცნობილია როგორც „სს თბილავიამშენი".[126] მემორანდუმის ფარგლებში კომპანია გეგმავდა საქართველოს თავდაცვის ძალების კუთვნილი თვითმფრინავების მოდერნიზაციას. თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ Motor Sich ადრეც თანამშრომლობდა ქართულ მხარესთან თავდაცვის ძალებისთვის შვეულმფრენების ძრავებისა და მექანიზმების აღდგენის საქმეში. საინტერესოა, როდის დაიწყო ორ მხარეს შორის თანამშრომლობა თავდაპირველად, რადგან 2017 წლიდან კომპანია სხვადასხვა ქვეყნის უშიშროების სამსახურების მიერ მუდმივი გამოძიების ქვეშ იყო და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის,

122 News.ge, საქართველოს საავტომობილო გზების მშენებელ სინოჰიდროზე გამოძიება მიმდინარეობს, 2018 წლის 12 თებერვალი https://news.ge/2018/02/02/saqartvelos-gzebis-mshenebeli-sinohidros-winaagmdeg-sisxlis-samartlis-saqmeze-gamodzieba-m

123 სინოჰიდროსა და საქართველოში მისი საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://civicidea.ge/en/civic-ideas-third-china-watch-report-covers-the-controversies-over-sinohydro-china-railway-23rd-bureau-group-co/

124 Commersant.ge, ასე შენდება გზები საქართველოში - ჭაობიანი ქობულეთი, 2018 წლის 30 იანვარი https://commersant.ge/ge/post/ase-ageben-gzebs-saqartveloshi-dachaobebuli-qobuleti

125 ია ასათიანი, როცა ჯარიმას ჩალის ფასი აქვს, 2020 წლის 9 ივნისი https://www.ifact.ge/sinohydrogaremo/

126 IPN, სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა დელტას, თბილავიამშენსა და უკრაინის სამხედრო ინდუსტრიულ კომპანია Motor Sich-ს შორის, 2021 წლის 22 იანვარი https://www.interpressnews.ge/ka/article/638596-deltas-tbilaviamshensa-da-ukrainul-samxedro-samrecvelo-motor-sich-s-horis-sammxrivi-memorandumi-gapormda/

შეერთებული შტატების ყურადღების საგანიც გახდა. Motor Sich-თან დაკავშირებული სკანდალები მერყეობს ჩრდილოვანი გარიგებებიდან „ტერორიზმის დაფინანსებამდე" და მოიცავს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა უკრაინა, ბელორუსი, ნიგერია, ინდოეთი. მიუხედავად ამისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს კორუმპირებულ კომპანიასთან ახალი მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმებას, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საქართველოს თავდაცვასა და ეროვნული უსაფრთხოებას.[127] **საქართველოს თავდაცვის სფეროში ჩინეთის მზარდი გავლენის გამო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის მოთხოვნით, Motor Sich მზად იქნება მიაწოდოს მათ კრიტიკული ინფორმაცია, რომელსაც ფლობენ ქვეყნის თავდაცვის სექტორზე**.

ანალოგიური საფრთხის შემცველია ჩინური კომპანია „Nuctech Company Limited", რომელიც აწარმოებს უსაფრთხოების რენტგენის სკანერებს ძირითადად სასაზღვრო გამშვები პუნქტებისთვის, საბაჟოებისთვის, პორტებისთვის და აეროპორტებისთვის. კომპანია დააარსა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ჰუ ჯინტაოს ვაჟმა და პირველად ქართულ ბაზარზე 2008 წლის მარტში გამოჩნდა, როდესაც საქართველოს საქართველოს მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის სახელით ხელი მოაწერა ამ კომპანიასთან შეთანხმებას. 2012 წელს, შემოსავლების სამსახურმა ყაზბეგისა და წითელი ხიდის საბაჟო გამშვები პუნქტებისთვის Nuctech-ის რენტგენის ინსპექტირების სისტემები შეიძინა. მას შემდეგ Nuctech გახდა კონკრეტული სამთავრობო სააგენტოს ახლო პარტნიორი. მხოლოდ 2018-2020 წლებში, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა სულ 5,87 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია შეიძინა Nuctech Company Limited-ისგან. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა, ოპონენტების მიზანმიმართული დაჩაგვრა, კონტრაქტში მითითებული პირობების გაუთვალისწინებელი გადადება და სხვა სახის გადაცდომა თან ახლდა ყველა ტენდერს, რომელიც Nuctech-მა საქართველოში მოიგო.[128]

იმავდროულად, Nuctech ფიგურირებდა სკანდალებში შეერთებულ შტატებში, ფილიპინებში, ნამიბიაში, ტაივანსა და უკრაინაში. აშშ-ს სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაციამ,[129] ევროკავშირმა[130] და ლიეტუვის მთავრობამ[131] ოფიციალურად დაუწესეს შეზღუდვები, რაც ბლოკავს კომპანიის მათ ბაზრებზე წვდომას. თუმცა, საქართველოს სამთავრობო უწყებებს კომპანიის რეპუტაციის გამოძიების მცირე მცდელობაც კი არ ჰქონიათ, ან პირადი ინტერესების ან უბრალოდ უცოდინრობის გამო. მსგავსი გარემოებები საშუალებას აძლევს ჩინეთის კომუნისტურ პარტიას მარტივად ჰქონდეს წვდომა  საქართველოს კრიტიკულ საბაჟო/სასაზღვრო ინფორმაციაზე ამ კონკრეტული კომპანიის მეშვეობით.

127 დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://civicidea.ge/en/echo-of-the-rocket-fraud-in-georgia-defense-memorandum-with-motor-sich/

128 საქართველოში შპს „Nuctech Company"-ს შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://civicidea.ge/en/civic-ideas-6th-china-watch-report-nuctech-company-ltd-in-georgia/

129 როჰან აბრაამი, აშშ ადანაშაულებს ჩინურ სკრინინგის ტექნოლოგიურ ფირმას Nuctech-ს მგზავრების ინფორმაციის გადაცემაში პეკინში, 2020 წლის 3 ივლისი https://economictimes.indiatimes.com/magazines/panache/us-accuses-chinese-screening-tech-firm-nuctech-of-passing-passenger-info-to-beijing/articleshow/76769001.cms

130 ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი, კომისიის რეგულაცია (EU) No 1242/2009, დროებითი ანტიდემპინგური გადასახადის დაწესება გარკვეული ტვირთის სკანირების სისტემების იმპორტზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, 2009 წლის 16 დეკემბერი: https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:332:0060:0072:EN:PDF

131 Fox44news, ლიტვა აპირებს დაბლოკოს ჩინური აეროპორტის სკანერების ფირმა Nuctech, 2021 წლის 29 იანვარი https://www.fox44news.com/news/business-news/lithuania-set-to-block-chinese-airport-scanner-firm-nuctech/

***მთლიანობაში, რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში თანდათან იცვლება. ავღანეთიდან აშშ-ისა და ნატო-ს ჯარების გაყვანით და თალიბების მიერ ქვეყანაში კონტროლის დამყარებით, ახლომდებარე რეგიონების გეოპოლიტიკა, სავარაუდოდ, უსაფრთხოების უზარმაზარ ცვლილებებს განიცდის. ამ შემთხვევამ შესაძლოა ახალი კარები გაუხსნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რათა გააძლიეროს თავისი უსაფრთხოების ინტერესები ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში, და ამავდროულად მოგვევლინოს როგორც თალიბანის ავღანეთის მთავარი მხარდამჭერი. უახლოეს წლებში აღნიშნულ რეგიონებში ჩვენ შეიძლება ვიხილოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან მომდინარე სამხედრო შემოწირულობების, ჩინური უსაფრთხოების კომპანიებიდან განხორციელებული შესყიდვებისა და სამხედრო წვრთნების მზარდი რაოდენობა.***

### 3.4. ჩინეთი და დეზინფორმაცია

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ თავისი რეპუტაცია 2021 წელსაც კიდევ ერთხელ დადო სასწორზე როდესაც, უფასო სწრაფი ტესტებიდან, სახის ნიღბებიდან და ჯანმრთელობის სხვა აღჭურვილობიდან უკეთეს და უფრო მძლავრ პროპაგანდისტულ იარაღზე - ჩინური ვაქცინების გავრცელებაზე გადავიდა. საქართველოში დიდი რაოდენობით შემოტანილი პირველი ვაქცინები სწორედ ჩინური „სინოფარმი" და „სინოვაკი" იყო და მათ აქტიურ პოპულარიზაციაში ჩინელი დიპლომატებიც ჩაერთნენ. 5 აპრილს, პრესკონფერენცია მიეძღვნა ჩინური ვაქცინის Sinopharm-ის დანერგვას,[132] სადაც ჩინეთის ელჩმა საქართველოში, ლი იანმა აღნიშნა: „კოვიდ-19 გლობალური პანდემიის დაწყების დღიდან, ჩინეთი და საქართველო ყოველთვის ეხმარებოდნენ და მხარს უჭერდნენ ერთმანეთს რთულ პერიოდში პრევენციის, კონტროლის, მატერიალური დახმარებისა და თანამშრომლობის სხვა ფორმების გამოცდილების გაზიარებით. ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ საერთაშორისო თანამშრომლობას ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვაქცინაზე მოთხოვნა ძალიან მაღალია როგორც საერთაშორისო, ისე შიდა დონეზე, ვაქცინის წარმოების მოცულობა კი არასაკმარისი. ასეთ ვითარებაში, ქართული მხარის მოთხოვნით, ჩინურმა მხარემ ვაქცინა საქართველოს მიაწოდა".[133] იმავე პრესკონფერენციაზე მან ხაზი გაუსვა არა მარტო ჩინური ვაქცინების ეფექტურობასა და უსაფრთხოებას,[134] არამედ ზოგადად, ჩინურ-ქართული ურთიერთობების მნიშვნელობას, რაც გამოიხატა ჩინეთის ძალისხმევაში, დაეხმაროს საქართველოს რთულ პერიოდში

132 დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ჩინური ვაქცინის "სინოფარმის" პრეზენტაცია - ბრიფინგი, 2021 წლის 5 აპრილი https://www.ncdc.ge/#/pages/content/6df7bebe-3e99-4d7c-ae3b-b4ec9331265f

133 თამუნა ნოზაძე, ჩინეთის ელჩი - "სინოფარმის" უსაფრთხოებისა და ეფექტურობის დონე ძალიან მაღალია, რაც ფართოდ არის აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ, 2021 წლის 5 აპრილი: https://1tv.ge/news/chinetis-elchi-sinofarmis-usafrtkhoebisa-da-efeqturobis-done-dzalian-maghalia-rac-saertashoriso-sazogadoebis-mierac-fartod-aris-aghiarebuli

134 ფორმულა, ჩინეთის ელჩი: Sinopharm მზადდება ტრადიციული მეთოდით, ძალიან მცირე გვერდითი ეფექტებით, 2021 წლის 5 აპრილი https://formulanews.ge/News/48223

Sinovac-ის 100 000 დოზით შემოწირულობით.

*(ფოტოს წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი https://bit.ly/3pEIoNO )*

საქართველოს მიერ თავდაპირველი შესყიდვის დროს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას ოფიციალურად არც Sinopharm და არც Sinovac არ ჰქონდა აკრედიტებული. თუმცა, საქართველოს მთავრობას არ სურდა მათ სრულ აკრედიტაციას დალოდებოდა და თავისი გადაწყვეტილება ძვირადღირებული და არააკრედიტებული ვაქცინების შეძენის შესახებ უნგრული მარეგულირებლის მიერ მათი დამტკიცების[135] საბაბით გაამართლა. მას შემდეგ, საქართველო აგრძელებდა Sinopharm-ისა და Sinovac-ის დიდი რაოდენობით შეძენას, რომლებიც უფრო ძვირია, ვიდრე სხვა აღიარებული ვაქცინები და ასევე ნაკლებად ეფექტურია მუტაციური კოვიდ-19 ვარიანტების წინააღმდეგ.

კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებიდან, აშშ-ს მიერ დაფინანსებული ლუგარის ლაბორატორია საქართველოში ხშირად ხდება როგორც რუსული, ისე ჩინური დეზინფორმაციის სამიზნე. ჯერ კიდევ 2020 წლის აპრილში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მარია ზახაროვას მიერ აშშ-ის მხარდაჭერილი ლუგარის ლაბორატორიის კრიტიკის შემდეგ, ჩინურმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის გენგ შუანგის ბრალდებები აშშ-ის მიერ დაფინანსებული ბიოლოგიური ლაბორატორიების მიმართ, რომლებიც განთავსებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. გენგი ადანაშაულებდა აშშ-ის მთავრობას ლაბორატორიების უსაფრთხოებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით არსებულ ხარვეზებში და ამტკიცებდა, რომ თითქოს ამით ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას „ეხმაურებოდა". მას არ დაუსახელებია კონკრეტული ბიოლოგიური ცენტრები; თუმცა, ვიწრო გეოგრაფიულ ასპექტზე მისი აქცენტის გათვალისწინებით, ბრალდებები სავარაუდოდ მიმართული იყო ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ, რომელიც დაარსების დღიდან წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოში. უკვე 2021 წლის ივლისში, ჩინეთის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა მედიამ „New China TV" გამოაქვეყნა ვიდეო[136] Youtube-ზე, სადაც ნაჩვენებია ამერიკული გლობალური ბიოქიმიის ლაბორატორიების თანამგზავრული სურათები. ვიდეოს მიხედვით, შეერთებულმა შტატებმა დააარსა ბიოქიმიური ლაბორატორიები 25 ქვეყანაში, სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე, რომლებშიც სახიფათო ექსპერიმენტები ტარდება, რასაც შესაძლოა მომაკვდინებელი ვირუსებისა და ეპიდემიების გავრცელება მოჰყვეს მთელ მსოფლიოში. ასეთი ცრუ ბრალდებები ემსახურება ჩინეთის კომუნისტური პარტიის უფრო ფართო საგარეო პოლიტიკურ მიზნებს და მიზნად ისახავს შეერთებული შტატების გავლენის შემცირებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

135 მარიამ ვარადაშვილი, "როგორც ამბობენ, მეგობარი გაჭირვებაში იცნობა" - ჩინეთის ელჩი, 2021 წლის 5 აპრილი https://netgazeti.ge/news/532126/

136 ახალი ჩინეთის ტელევიზია, აშშ-ს გლობალური ბიოქიმიის ლაბორატორიების სკანირება თანამგზავრის საშუალებით, 2021 წლის 27 ივლისი https://www.youtube.com/watch?v=A35oSnQPGL0

# დასკვნა

გასულ წელს ამ ანგარიშის წინა, პირველი ვერსიის გამოქვეყნების შემდეგ, ძირითადი სახელმწიფო აქტორების, განსაკუთრებით რუსეთისა და ჩინეთის ბოროტი საქმიანობა საქართველოში მინიმუმ იგივე ინტენსივობითა და ფოკუსით გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ დინამიურად განვითარებულმა შიდაპოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოში აიძულა ეს აქტორები ნაწილობრივ შეეცვალათ თავიანთი სტრატეგიები და მიდგომები, საშუალებები და ინსტრუმენტები ძირითადად იგივე დარჩა,.

რუსეთის შემთხვევაში ნაკლები აქცენტი კეთდებოდა ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გეოპოლიტიკურ ასპექტებთან დაკავშირებულ დეზინფორმაციულ აქტივობებზე, რომლებსაც ახორციელებდნენ როგორც რუსული აქტორები (მედია, პოლიტიკოსები, ეკლესია), ისე მისი მარიონეტები. კვლევის ავტორების დაკვირვებით აქცენტი გადატანილია ნარატივებზე, რომლებიც ეხებოდა ღირებულებებზე დაფუძნებულ არგუმენტებს. კერძოდ, დისკურსში ყურადღება გამახვილებული იყო იმ ტრადიციული ღირებულებების დაცვაზე, რომლებიც საერთოა როგორც რუსებისთვის, ასევე ქართველებისთვის.

ღირებულებებზე დაფუძნებულ დისკუსიებზე გადასვლას ასევე ხელი შეუწყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგმა, რომელმაც, ერთი მხრივ, დააყენა ის რეალობა, რომ ღიად პრორუსულმა პარტიებმა, განსაკუთრებით პატრიოტთა ალიანსმა, ვერ მოიპოვეს საზოგადოების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, მაგრამ, მეორე მხრივ, გამოიწვია პოლიტიკური დაძაბულობის გაღრმავება და პოლარიზაცია ხელისუფლებასა და ოპოზიციას და მათ მხარდამჭერებს შორის. ამ მოცემულობაში ტრადიციული ფასეულობების დაცვის საკითხი ერთ-ერთ ცენტრალურ გამყოფ ხაზად იქცა როგორც ქართულ პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ დისკურსში.

ეს საწყის ეტაპზე ზეპირი დაპირისპირება. საბოლოოდ. მალევე გადაიზარდა ძალადობრივ შეტაკებებში და პოგრომებში, რომლებიც მიმართული იყო ლგბტქ+ თემის და საბოლოოდ ასევე ჟურნალისტების წინააღმდეგ. ყველა ეს აქტი როგორც ადგილობრივმა, ისე საერთაშორისო დამკვირვებლებმა შეაფასეს, როგორც გამიზნული თავდასხმა დემოკრატიაზე და დემოკრატიული და ღია საზოგადოების ღირებულებებზე. ხელისუფლების დუმილმა და უმოქმედობამ კიდევ უფრო გააღრმავა განხეთქილება საზოგადოებაში. ქართული საზოგადოების გაუარესებული და დასუსტებული სოციალური ერთიანობა იყო და არის რუსეთის ჰიბრიდული ოპერაციების ერთ-ერთი მუდმივი მიზანი საქართველოს წინააღმდეგ.

გასული წლის განმავლობაში, სხვა ახალი ტენდენციები და გარემოებები, რომლებშიც რუსეთი ახორციელებდა თავის მავნე ოპერაციებს, უკავშირდებოდა მთიან ყარაბაღის ომს და კოვიდ-19-ის მიმდინარე პანდემიას. მიუხედავად იმისა, რომ პირველ შემთხვევაში ხდებოდა სხვადასხვა უმცირესობებს შორის ინტერ-ეთნიკური ურთიერთობების თავისებურებების ექსპლოატაცია, მეორეში ძირითადად აქცენტი კეთდებოდა ანტივაქსერული განწყობის ბოროტად გამოყენებაზე. საინტერესოა, რომ აქტორთა იგივე ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა დეზინფორმაციულ წრეებს და რადიკალურ მოძრაობებს და ორგანიზაციებს, რომლებიც აცხადებენ, რომ იცავენ ტრადიციულ ღირებულებებს, ასევე მონაწილეობდნენ Covid-19-ის დეზინფორმაციის გავრცელებაში და ანტივაქსერული განწყობის გავრცელებაში.

მაშინ როდესაც რუსეთის ჰიბრიდული მცდელობები ძირი გამოუთხაროს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ გზას მიმართული იყო სოციალურ, პოლიტიკურ და საკომუნიკაციო ასპექტებზე, ჩინეთის მავნე ოპერაციები მიზნად საქართველოზე ეკონომიკური აქტივობებით მეტი გავლენის მოპოვებას ისახავდა.

ჩინეთის გავლენის ზრდას საქართველოში, რაც აისახება გაძლიერებულ ეკონომიკურ,

აკადემიურ და უსაფრთხოების თანამშრომლობაზე, ასევე ჰქონდა თავისი ნაკლოვანებები. მიუხედავად ამისა, ქართული პოლიტიკური/ბიზნესის ელიტა იყენებს ჩინეთის ფაქტორს, როგორც გეოპოლიტიკური დაბალანსების არგუმენტს, საჯაროდ ასახავს მას როგორც ალტერნატივას მიმწოდებლების დივერსიფიკაციისთვის, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორებისთვის. ის ასევე საჯაროდ წარმოჩენს ჩინეთს, როგორც საქართველოში რუსეთის გავლენის დამაბალანსებელს ან საპირწონე ძალას.

ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური თუ ბიზნეს ელიტა, მისი წევრების ინდივიდუალური ინტერესებიდან გამომდინარე, არაფერს აკეთებს ჩინეთის დომინაციის მავნე ზემოქმედების შესამცირებლად, როგორიცაა დაგვიანებული და უხარისხო ინფრასტრუქტურული პროექტები, კორუფციის მაღალი დონე, სახელმწიფოს კრიტიკულ აქტივებთან დაკავშირებული გაურკვევლობა, ადგილობრივი დასაქმებულთა უფლებების დარღვევა, გარემოსა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის შექმნილი საფრთხეები. აქედან გამომდინარე, ამ ორ სახელმწიფოს შორის გეოგრაფიული მანძილის ცნება თანდათან ქრება და ჩინეთის გავლენა ყოველწლიურად იზრდება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, თავის მხრივ, არ კარგავს ინტერესს საქართველოს მიმართ, რასაც ნაწილობრივ ხელს უწყობს საქართველოს პოლიტიკური ელიტის კეთილგანწყობა, მეგობრობის ეს პოლიტიკა ყველაზე მკაფიოდ COVID-19-ის დროს გამოვლინდა.

შედეგად, გარე აქტორების მიერ წარმოებული ყველა ეს ჰიბრიდული და მავნე ოპერაცია ძირს უთხრის ქართული საზოგადოების და სახელმწიფოს მედეგობას. ეს მედეგობა შეიძლება უფრო გაძლიერდეს პოლიტიკური კონსენსუსით და ამ საფრთხეების დასაძლევად როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიერ პოლიტიკური ნების გამოვლენით. უსაფრთხოების ამ გამოწვევების დასაძლევად ეროვნული სტრატეგიები და ინსტიტუციური სტრუქტურები უნდა განისაზღვროს და განვითარდეს.

საჭიროა მეტი მუშაობა ანალიტიკური მიმართულებით და მავნე აქტორებისა და მათი მუშაობის მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოვლენა. ამას გარდა, აუცილებელია გამოცდილებისა და ცოდნის გაცვლა და გაზიარება სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან, რაც, ერთ-ერთი ეფექტური გზაა საქართველოსთვის, რომ გააძლიეროს საკუთარი მედეგობა ასეთი აქტორების მიმართ. ქართველი და ჩეხი ექსპერტების მიერ ერთობლივად მომზადებული ეს პუბლიკაცია სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება.